# თეატრი და ცხოვრება

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება


| № 9 | ფასი 25 კაპ. | აპრილის 23—30 | 1925 |
|---|---|---|---|




კომპოზიტორი

**ზ ა ქ ა რ ი ა   ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი**

რესპუბლიკის სახალხო არტისტი
სამუსიკო-საზოგადო მოღვაწეობის 30 წლის შესრულებისათვის
აპრილის 12 გადახდილ იუბილეს გამო.



ნახატი ალ. ციმაკურიძისა.

**რომანისტი მიხ. ჯავახიშვილი**

„კვაჭი კვაჭანტირაძე“-ს, „ჯაყოს ხიზნები“-ს
და სხ. დამწერი.

მოკლე ხანში მისი რომანის „ჯაყოს ხიზნე-
ბი“-ს გმირების გასამართლება გაიმართება.

### რედაქციისაგან

1. ჟურნალი მხოლოდ თავისი მკითხველების და ხელისმომწერთა ნივთიერი დახმარებით გამოდის, **არავისაგან არავითარი სუბსიდია არ ეძლევა**, ამიტომ ვსთხოვთ ყველას კუთვნილი ფული დროით გამოგზავნონ; 2. ვინაიდან საპრემიო წიგნის „ცხოვრების სარკე“-ს გამოცემას ამ დღეებში უნდა შევუდგეთ, ხოლო ამისათვის კი საჭირო ვიცოდეთ წლიურ ხელისმომწერთა რაოდენობა, ამიტომ ვსთხოვთ ჩვენს რწმუნებულ—აგენტებს, საჩქაროდ მოგვაწოდონ ცნობა, ვის რამდენი წლიური ხელისმომწერი ჰყავს, დაგვიბრუნონ საქვითარო წიგნაკები და ანგარიში გაგვისწორონ, რომ იმდენი წიგნი დაუბეჭდოთ, რამდენიც ხელის მომწერი გვეყოლება; 3. წლიური ხელისმომწერნი უკლისად მიიღებენ 52 № ჟურნალს, 4 დამატებას „ცხოვრების სარკე“-ს. 4 ვისაც ჟურნალი არ მიუვა, დროით გვაცნობოს (რუსთველის პრ. № 34).. **რედ.**


ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს თაოსნობით მალე გაიმართება

დიდი ლიტერატურული გასამართლება:

მიხ. ჯავახიშვილის რომანის

„ჯაყოს ხიზნები“-ს გმირები

თეიმურაზ ხევისთავი, მარგო, ჯაყო—საბრალმდებლო სკამზე

დრო, ადგილი, შემადგენლობა და გასამართლების წესი შემდეგ გამოცხადდება.

დაიბეჭდა და იყიდება

მიხეილ ჯავახიშვილის

შვიდ-კარიანი რომანი

კვაჭი კვაჭანტირაძე

480 გვერდი, ფასი 2 მან. 75 კაპ.

გამომცემელი

„საბჭოთა კავკასიონი“

(2—1)



კვაჭი კვაჭანტირაძე



სუფთად

კ. ერი

იღებს შეკვეთებს

ჟურნალ-გაზეთებისათვის

მხატვრულ წარწერებზე, კარიკატურებზე, კლიშეების დამზადება, ლინოლიუმზე.

მისამართი: რუსთველის პრ. № 34 „თეატრი და ცხოვრება“.

სწრაფად

# თეატრი და ცხოვრება

1910—1925

წელიწ. XV

№ 9

(365)

ფასი 25 კ.

ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით—6 მან. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილ შეიძლება. წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიად: სარეპერტუარო პიესების კრებულს „ცხოვრების სარკე"-ს 4 წიგნს.

რედაქციის მისამართი: რუსთველის პრ., № 34

„თეატრი და ცხოვრება",

იოსებ იმედაშვილი.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. — აპრილის 23—27 — გამოსვლა 1925 წ.


## დიდებული მოვლენა

სხვანაირად არ შემიძლიან მოვიხსენიო ის ამბავი, რომელიც აკაკის ხსოვნის გარეშემო მოხდა.

თუმცა ამ ჩვენი ერის სიამაყის ხსოვნის აღნიშვნისათვის მჭერმეტყველურად სდუმდნენ ისინი, ვისაც ეს ევალებოდა, მშრომელმა ხალხმა მაინც შესაფერი პატივი სცა თავის საყვარელ მგოსანს.

„თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქციის თაოსნობით გამართულ საღამოს და შემდეგ მთაწმინდაზე პანაშვიდს აუარებელი ხალხი დაესწრო, თუმცა სასტიკი ქარი ჰქროდა.

ეს პანაშვიდი იმით უფრო იყო საყურადღებო, რომ ორატორებად გამოდიოდნენ არა ნაფიცნი ორატორნი, არამედ ხალხის შვილნი, უფრო მეტად მოწაფენი, მოზარდი თაობა და ყველა ერთპირად აღთქმას სდებდა:

— შენს მცნებას სამარადისოთ გულში ვატარებთ, მას არ გადავუხვევთო!..

ვარდ-ყვავილებით მოიფინა აკაკის საფლავი, ვარდ-ყვავილად დაიცრემლნენ ჩვენი გრძნობანი, რომელნიც ათის წლის წინ მთაწმინდის წიაღში ჩასულმა მზემ დღეს აღმოაცენა!..

ჭეშმარიტად, აკაკიზეა გამოჭრილი მგოსან ნ. ბარათაშვილის სიტყვები:

„საღამოს ვისთვის ჩავდივარ,
რომ დილა უფრო ვაცხოვლო!-"

აკაკიმ ერის გულში ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე ხელთაუმნელი ძეგლი აიგო, მაგრამ ეს არა კმარა: სამარეზედ უნდა ავუგოთ ხილული ძეგლი და განსვენებული მგოსნის საკრძალავი წანაშვისაგან დავიფაროთ.

ამის აღთქმა დასდო ახალმა თაობამ—ახალგაზრდობამ, თავისი ორატორების პირით.

ბნელ სამარეში დაკრძალულმა, სულჩნათმა მგოსანმა თავის ირგვლივ კიდევ ერთხელ შემოიკრიბა მშრომელი ერის საუკეთესო ნაწილი— მშრომელ ხალხთან ერთად, მოზარდი თაობა—და თვისი მცნებანი ღრმად გულში ჩაუნერგა...

თვითეული ია, თვითეული ყვავილი, თვითეული გვირგვინი, რომლებითაც შეამკეს მგოსნის სამარე (და ეს იყო ზღვა ყვავილ-იებისა), თვალნათლივ მეტყველებდნენ მგოსნისადმი ღრმა სიყვარულს, იმ მცნებათა მიღებას, რომელსაც დიდი აკაკი გვიმოძღვრებდა.

ვაშა ამ გრძნობას, გაუმარჯოს ამ მცნებას!

## აკაკის ძეგლისათვის

მაგრამ მარტო ცალიერი სიტყვები არა კმარა, მარტო ია-ვარდით ვერ მოვიხდით ჩვენს ვალს სულმნათი მგოსნის წინაშე.

ამისთვის საჭიროა, საქმე და კიდევ საქმე!.

მისი ძეგლი უნდა ააგოს მთელმა ხალხმა, მოზარდმა თაობამ, იმ გლეხის ბიჭებმა და მუშის შვილებმა, რომელთსაც უყვარობდა და უყვარობს აკაკის ჩანგი, საქართველოს ყოველი კუთხის შვილმა, ყოველი სკოლის მოწაფემ, გლეხმა და მუშამ, მოხელემ და ხელოსანმა—ყველამ, ყველამ—ამ ძეგლის აგებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს.

და ჩვენ არა გვგონია გამოჩნდეს ისეთი გარეწარი, ისეთი შეუგნებელი, რომ ამ საამაყო საქმისათვის თავისი წვლილი არ გაიღოს შეძლებისა და-გვარად...

როგორც წინა ნომერშიაც ვსწერდით, აკაკის სამარის შესახებ საკითხი შარშან გაზაფხულზედვე აღვძარით (იხ. „თ. და ცხ." 1924 წ. № 11). ჟურნალის დროებით შეჩერების გამო ეს საქმე შეფერხდა. შემოდგომით მოწაფეობა ახმაურდა, აქა-იქ ცოტაოდენი თანხაც მოგროვდა, მაგრამ ეს არ კმარა: მთელი თანხა ერთ ადგილს უნდა მოგროვდეს, გარდა ამისა, უნდა გამოირკვეს და თავი მოეყაროს ყველა იმ თანხას, აქა-იქ გაჩხირულს, რომელიც დღემდე აკაკის სახელით შეიკრიბა საჭირო თანხა შესდგეს და საქმესაც დროით შევუდგეთ.

ჩვენმა რედაქციამ პირველმა დაიწყო ეს საქმე იმედიცა გვაქვს, მთელი ხალხის, მოზარდი თაობის ხელის გამოწვდით სასურველად დავაგვირგვინოთ.

საქართველოს მშრომელო ხალხო, მოწაფეებო, ახალგაზრდებო, აკაკის ძეგლი თქვენის საკუთარი, ძალლონით უნდა აიგოს!

აი, ჩვენი მოწოდება! საქმით გვიჩვენეთ გულწრფელობა და სიყვარული თქვენი უდიდესი მოძღვრის, წინასწარმეტყველისა და მამისადმი.

ელენე მამაცაშვილი

# აკაკი წერეთლ ს შემოქმედება*)

ქართველ მგოსანთა პანთეონში მუდამ იბრწყინავს ქალარით შემკული სათნო სახე აკაკი წერეთელის მუდამ მხიარული, დაუღალავი ახალგაზრდა სულით.

„ხალხის გულის მესაიდუმლემ“ ხალხისავე სული ჩამოქნა თავის უკვდავ ლექსებში, რისთვისაც მას „ქართველი ერის სულის მოქანდაკე“ უწოდეს.

ის არ არის ღვთით მოვლინებული „წინამძღვარი ერისა“, „შუა-კაცი უბრალო“, ის მხოლოდ „გარემოების საყვირია“:

„მის გული სარკედ ქცეული
ბუნების ნათავხედია,
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია
ენაც მას ამბობს, რაც სმენას
ხალხისგან გაუგონია
ან თვალს უნახავს, ან ჭკუას
გაუზომ-აუწონია!“

რა გარემოებას ყვიროდა ასე დაჟინებით აკაკის მუზა?.

ეს იყო XIX ს. მეორე ნახევარი. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართული ენა ძაღლის ენად იწოდებოდა, როდესაც რუსეთის თვითმპყრობელობა ვანდალობდა საქართველოში, როდესაც თვით ქართველი ქალებიც ამგვარად მჭერმეტყველობდენ:

„რის ქართველობა, რა ქართველობა,
ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?“

როდესაც ქულაჯაში ჩაცმული გიორგი ერისთავი გრიბოედოვის ქორწილში არ შეუშვეს.

ასეთი დამცირებული,

„ძველი ტურფა დღეს მკვდარივით მძინარი,
ფეხშიშველი, თავზედ ლეჩაქ-ახდილი“

სამშობლო თავის სატრფოდ დასახა მგოსანმა და გატაცებით მარცვლავს თავის გულის თქმას:

„თავი ტარიელ მგონია,
ოცნებით გარემოცულსა;
ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს
ნესტან დარეჯან ქაჯებს ყავს
მოელის ტურფა გამომხსნელს“.

მგოსანი ხედავს საშინელ რაყიფს, რომელიც ვარდებით ეკალში იტყუებს მის სატრფო-სათაყვანოს:

„. . . . ზედ შედგება ფეხით,
დაიმონებს, ცრემლებს ადენს,
ლეჩაქს მოხდის, გააშიშვლებს,
ბანგს შეასმევს, დააძინებს,
გამოუზრდის მონად შვილებს
და თვითონვე მას დასცინებს“.

სულის ფანცქალით ხედავს ის სატრფოს გულუბყვრილობას და ემუდარება:

„. . . . . ჭინჭარში ნუ ვარდები:
ნუ გგონია მანდ ია და ვარდები,
შეიბრალე თავი შენი, იცოდე—
მაგ შარბათში საწამლავს, სვამ იცოდე“.

მაგრამ:

„მოხიბლულა, შემცდარია, ის არი.
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი“

სიცოცხლე-მოშხამული მგოსანი მტრის ხელში მკვდრად სთვლის სატრფო-სამშობლოს და გახელებული დაეძებს მის საფლავს. ლექსი „სულიკო“—მისი პოეზიის შედევრია; აქ გადაშლილია მთელი გრძნობა მოფანცქალე გულის, ალერსის კრიალოსანი...

ის ეძებს სატრფოს ვარდის სურნელებაში, ბულბულის ჰანგებში, ვარსკვლავის ციმციმში.

გრძნობით გადადუღებული, სიამით დაყუჩებული გულით ის ამბობს:

„ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს ვყნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა
და რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამოვითქვამს ენითა“.

მისი ფიქრი ეხვევა სალამურის თუმცა მწარე, მაგრამ მაინც მშობლიურ მოთქმას, ვით ძმა—ძმას; მის სევდის ჰანგებს ეძებს ის, რომ მათ შორის მყოფ „ქართველს გული გაუხარონ“.

სალამურის ამ მწარე ზუზუნში ის მხოლოდ ერთის ოცნებით სცოცხლობს:

ისტორიულად საქართველო ანთეოსია, რომელიც ბრძოლაში მიწაზე დაცემით მეტ ენერგიას იძენდა მშობელი მიწისაგან და ახალის ძალით სდგებოდა საბრძოლველად.

აკაკის სწამდა ეს ახალი ძალა, სწამდა მას, რომ

„მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი“.

სწამდა ეს მთელი თავისი გრძნობის სიძლიერით და მისი მხნე სული მიჰქრის „ალმართ-ალმართ“, რომ იქ, ნეტარების მწვერვალზე დასტკბეს გაზაფხულის სიამით, ნახოს „ქორწილი ბუნების“, გაიგონოს მის ძლევამოსილი „მაყრული“.

მხოლოდ ეშინია მას, რომ ვერ გასწევს ის ტარიელობას, რომ სუსტია ის ძლიერ რაყიფის წინაშე, მაგრამ მაინც არ ჰკარგავს მაცოცხლებელ იმედს:

„რისთვის დავკარგო იმედი?
გმირს წინაუძღვის ყოველთვის
უძლური წინამორბედი;
არა! აჰყვავდეს იმედი,
გულს ვერ გამიტეხს ჰალარა!
გმირებს უძახის, უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!“

„ნესტან-დარეჯანი“ ცხრა კლიტულში დამწყვდეული განთავისუფლდება, დაიბრუნებს სილაღეს, დაიკავებს ღირსეულ ადგილს!

ჯერ კი მგოსანი ამხნევებს ძვირფას ქართველებს:

„პატიოსან ლარიბს რით სჯობს
გამდიდრებული იუდა?“

დე, გავღარიბდეთ, დავსუსტდეთ, მაგრამ რწმენა მზიან მომავლისადმი და დიდსულობა უნდა შევინარჩუნოთ, რადგანაც

*) „თეატრი და ცხოვრება“-ს თაოსნობით აკაკის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ საღამოზე წარმოთქმული მცირე თეატრში აპრილის 6.

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს“—

სჭექს მისი მკვეთრი, მაგარი სიტყვები, „ნესტან-დარეჯანის“ გამოხსნა კი შესაძლებელია მხოლოდ საერთო თანხმობით.

არ არსებობს ქართლი, კახეთი, ან იმერეთი! არსებობს მხოლოდ ქართველი ერი, ერთსულოვანი, მჭიდროდ შეკავშირებული, ერთის მიზნით აღტყინებული ქართველობა.

„ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის სახრჩობელაო!“

გვასწავლის აკაკი.

მარტივი გასაგები ენით, სასიმღერო ტონზე დაწერილი ლექსით სასიქადულო მცნებებს აწვეთებს ის ქართველი ხალხის სულში:

„ჩანგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო
სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი;
ოდელა-დელა-დელაო!
ერთი მათგანიც რომ გაწყდეს,
მაშინვე უნდა შველაო,
რომ არ გაფუჭდეს ჩანგური,
ოდელა-დელა-დელაო!“

მისი მუზა არ არის ამაყი, ზემდგომი, ის სწერს ხალხისთვის, ხალხური ენით! ამისათვისაც არის, რომ მიწის მუშა დაღიღინებს მის ლექსებს და პოულობს მათში მშობლიურ ხაზებს.

აკაკის იდეა სამშობლოს შესახებ ბევრს ისე წარმოუდგენია, რომ მისი იდეალია ძველი, ფეოდალური საქართველო. ეს არ არის მართალი! აკაკის იდეალი—ცოტნე თუმცა დადიანია და თორნიკე—ერისთავი, მაგრამ მათი მიზანი ხომ აკაკის მიზანია,—მის სატრფო-სამშობლოს კერაზე თავისუფლების წმიდა ცეცხლის შენახვა.

მისი სატრფო კი—მშრომელი ხალხის ქვეყანაა.

მშრომელი ხალხის გათვითცნობიერება—ქვეყნის აყვავებაა.

ის ეუბნება გლეხის შვილს:

„მაშ ნუ გძინავს, გაიღვიძე! იცან ქვეყანაო!
შენც შეიტყვე ამა სოფლის ცრუ გამოცანაო!“

აკაკი ხედავს და გრძნობს გამეფებულ უსამართლობას, ჩაგვრას და დევნას, უქმ მდიდართაგან მშრომელი ხალხის გაყვლეფას, მაგრამ ის არ ამწვავებს კლასობრივ განხეთქილებას, არამედ გვიმოძღვრებს საერთო ძალით უსამართლობის მოსპობას, გათანასწორებას და საერთო მიზნისათვის ბრძოლას,

ამაში არ უნდა უკიჟინოთ აკაკის: ის შიშობს, რომ შინაგანმა განხეთქილებამ არ დააზიანოს საერთო მიზანი—ქართველი ერის გათვითცნობიერება.

გარდა ამისა, აქ მნიშვნელოვანია და ძვირფასი ჩვენთვის არა გზა, არამედ მისი დიადი მიზანი, იდეა.

ერთ საუბარში ის მაინც ამბობს:

„ხალხის საქმეს—ხალხისავე შვილებმა უნდა უპატრონონ... ხალხის ენით მხოლოდ ხალხის შვილები დაილაპარაკებენო!“..

1905 წ. ის გულწრფელად ეგებება მშრომელი ხალხის აღდგენის ცდას, კმაყოფილებით ამბობს:

„ვერ შეაჩერებს ძალად ზამთარი
როცა გაზაფხულს კარი ელება“

და აღფრთოვანებული იძახის.

„ხალხი აღელდა!
ვაშა მის ღელვას!“

ამიტომაც არის, რომ ქართველი გლეხისათვის ძვირფასია მოხუც აკაკში—ქართველი აკაკი, განხორციელებული მამულიშვილობა. მის სიკვდილის დღეებში გამოქვეყნებული იყო წერილი—„გლეხის გოდება“, სადაც გლეხი მოზღვავებულ გრძნობას ფურცლავს და უწოდებს მგოსანს „დიად მასწავლებელს“, „ლიტერატურის არშიას“, „ეროვნების ბურჯს“, „გენიოს ამირანს“.

„ბევრს სიბნელეში შეიჭრა მისი სხივები“, სწერს გლეხი: „ბევრი დაკარგული ინსტიქტი აამოძრავა და გაალვივა მისმა სხივებმა და ახლა კი... ახლა... ამ შავბნელ ხანას?—ამ სასოწარკვეთილ კითხვაზე პასუხს ვერ პოულობს „ხალხის შვილი“ და ისევ გულამოსკვნით ამბობს: „დავკარგეთ ჩვენი ენის მშობელი—ქურუმი—დიდი მასწავლებელი... დავრჩით ცხოვრების ბრძოლის ნაშეზედ გარიყული ობლები და ვინლაა ჩვენი პატრონი?“

აი ამ ფაქიზ ბუნების შვილთ უგალობს აკაკი, მათ ერს ეტრფის, მათი სამშობლოა—მისი სამშობლო, მრავალტანჯული „ნესტან-დარეჯანი“.

აკაკის მთელი ცხოვრების შინაარსს შეადგენს სამშობლო, მისი წმიდა გრძნობა: თვით ქალიც იმდენად საფასურია, რამდენადაც ის მას მოაგონებს სამშობლოს.

მას იზიდავს არა სახე, რომლის მშვენება თვალს სჭრის და გულს იტაცებს, არამედ სახე, რომელსაც აზის „აღმგზნები ბეჭედი სამშობლოს სიყვარულისა“.

ის ეძებს ქალში ქართველ დედას, ძველი სულის მატარებელს, და პოულობს მხოლოდ რუსთველისებურ ფატმანს, დიაცს. და თუ იპოვის თავის იდეალს, სიხარულით მიმართავს მას:

„შენ მკერდს ვემთხვიო მაქვს მე სურვილი,
თეთრი რომ არის მისთვის კი არა,
არა... მისთვის რომ მამულისშვილი,
ჭეშმარიტ დედას მ გ გულში გეპყრა!“

აკაკის დრამატურგიაც და პოემებიც—სამშობლოს იდეალიზაციაა:

„პატარა კახი“, „კუდურ-ხანუმ“, „თამარ ცბიერი“, „თორნიკ ერისთავი“, „ბაგრატ დიდი“,—აქ ჩვენ ვხედავთ ძველ წინაპართა საქართველოს, ბრწყინვალე შარავანდედით მოსილს.

მისი სატირაც—ფუტკარის შხამიანი ნესტარი უმთავრესად მიმართულია იმ ელემენტებისადმი, რომლებიც შეურაცხჰყოფენ მის ქართველურ გრძნობას:

ის ხსნის ნიღაბს ცრუ პატრიოტებს და უმტკიცებს საზოგადოებას, რომ სირცხვილია პატრიოტობის გაგება „მრავალ-ჟამიერის“ სიმღერად.

მისი არაკები—ეს კრილოვის და ლაფონტენის არაკებია, ქართული სულით ჩამოქნილი, მისი ლეიტ-მოტივით ამეტყველებული.

აკაკის ღრმა პატრიოტიზმი მით უფრო უმწიკვლო და პატივსაცემია, რომ ის აკაკის გაგებაში არ გადადის ვიწრო შოვინიზმში:

„იმას არ ეთქმის „ადამიანი“,
ვინც აღიარებს მარტო თავის ერს
და სხვა ტომებს კი ისე უყურებს
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს“.

ამბობს ის.

ნაციონალური თვითშეგნება აძლევს საშუალებას ერს სხვა ერის გვერდში ამოდგომისას. უსახო ერი—და-

კარგულია, პატივისცემა თავის თავისადმი იწვევს პატივისცემას სხვებისადმი. ამას ამბობს აკაკი:

„სამშობლო ჩემი ხატია,
სახატე მთელი ქვეყანა“

—

მაშინდელ საზოგადოებისათვის ასეთ ლირიკას აღმზრდელობითი ხასიათი ჰქონდა.

აღზრდას საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ საზოგადოების სახის ჩამოყალიბებისათვის; საზოგადოების ძალა და განვითარება დამოკიდებულია მასში მომქმედ პიროვნებისაგან.

აკაკიც დიდ მნიშვნელობას მიაწერს აღზრდას: უვარგისია აღზრდილი— დამნაშავეა აღმზრდელი:

ჰაჯი-უსუბ —დიდი გამზრდელი— თავის თავს სდებს ბრალს, როდესაც შეიტყობს გაზრდილის უვარგისობას. ის თავს იკლავს და ეუბნება საფარს:

„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზდიხარ!“

სიკვდილის წინ აკაკის უკითხავდენ მის ნაწერებს და როდესაც ეს პოემა „გამზრდელი“ წაუკითხეს, მან ცრემლები გადმოყარა და სთქვა: „მართლაც ეს კარგად დამიწერიაო“.

აკაკი ის დიდი გამზრდელი იყო, რომელიც ზრდიდა ქართულ სულს, შესტოფოდა მას, ამკობდა მას, თავს ევლებოდა.... მისი ცრემლები ჰაჯი-უსუბის ცრემლები იყო, რომლებითაც მან დაიტირა მაშინ მრუდე ქართველი საზოგადოება.

ეს აკაკის მიერ დატირებული საზოგადოება დღეს გამოიგლოვა ახალმა ქართველმა საზოგადოებამ.

რუსეთის დიადმა რევოლიუციამ გაანთავისუფლა საქართველო რუსეთის ცარიზმის ბატონობისაგან. აღსდგა ქართველი ერი, განახლდა ქართველი საზოგადოება!

დაიმსხვრა ქაჯთა ციხე!
„ნესტან-დარეჯანი“ ლაღობს!

ფრთას შლის საქართველოს ამაყი, თავისუფალი სული! სჭიმავს ბრძოლაში გამოჭედილ კუნთებს!

აღსრულდა აკაკის წინასწარმეტყველება:
„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!“

დღეს არამც თუ გაღვიძებული, არამედ ახალ სოციალიურ საზოგადოების მშენებლობის გზაზე შემდგარი საქართველო განსაკუთრებით აფასებს ამ მისი ჭირისუფლის სიტყვებს.

დღეს მისი „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ სამშობლო მოუთხრობს მგოსანს ნეტარ გაზაფხულის სიტკბოებას...

„მთაწმიდა გულში იხუტებს
საშვილი-შვილო სამარეს“
და მთაწმიდასთან ერთად მთელი ქართველი ერიც.

1908 წ. აკაკის გადუხადეს 50 წლის ჟუბილე და იცნეს **საერო** მგოსნად, მისი დღესასწაული კი ქართველი ერის გათვითცნობიერების დამამტკიცებლად. დღეს ჩვენ აღვადგინოთ მისი ლამაზი სული, ვაღიაროთ ის ქართველ **სახალხო** მგოსნად, ეს დღესასწაული კი მისი სატრფო-სამშობლოს გაღვიძების, გაკაჟების, განახლების მღაღადებლად!...

---

## ია კარბარეთელი

# ლადო აღნიაშვილის ხსოვნას

(მცირე მოგონება)

ლადო აღნიაშვილი ერთი მოზარეთაგანი იყო ჩვენი ერისა, რომელსაც ნაგემევი ჰქონდა მთავრობის სიმკაცრე და უმადურობა; ამ მოქვითინესაც ღრმად სწვდებოდა ქართველი ხალხის გავერანება, ქართული ენის დაბეჩავება და უარყოფა. რითი? რითი გამოჰხმაურებოდა იმედმიხდილ ხალხს, „საზოგადოებას“.

ჯერ კიდევ 1885 წლის შემოდგომაზედ, იქნებოდა, ასე, ოქტომბერი, ნოემბრის პირველი რიცხვები, ლ. აღნიაშვილმა მოუყარა თავი ახალგაზრდობას, ვისთანაც კი ხელი მიუწვდებოდა, თავის ბინაზედ (სცხოვრობდა ანჩისხატის უბანში, დანდუროვის სახლში) და გაუზიარა მათ თავისი განზრახვა; როგორც ყველა საქმეში, აქაც ეს ახალგაზრდობა მომეტებულათ სასულიერო სემინარიიდან იყვნენ; მაგონდება და თვალწინ მიდგანან ჩირაკაძე, ჰანტურაია, გოდერძიშვილი, მათურელი, ჩიჯავაძე, დვალი, იანქოშვილი, ჰკუასელი და სხვები, რომელნიც პირველ დაძახებისათანავე მოვიდნენ სათათბიროთ დანიშნულ სალამოზედ. ახალგაზრდათა თანაგრძნობას საზღვარი არ ჰქონდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო; მაშინ სემინარიის ერთ-ერთი წრე ნათლულშიაც კი იყრიდა ხოლმე თავს ი. ჩიჯავაძესთან, ვითომდა საქეიფოთ, ნამდვილათ კი საქართველოსა და მის ჭირ-ვარამზედ იყო მომეტებულათ ლაპარაკი და ბაასი. რაღა ვსთქვა ანჩისხატის უბანზედ,—ეს ბუდე იყო სემინარიელებისა.

ამ მოლაპარაკების შემდეგ მალე კიდეც დაიწყეს სიმღერების შესწავლა ყმაწვილებმა რატილის ხელმძღვანელობით; მალე ამავ ხანში აღნიაშვილმა კახეთიდან გამოიწვია სამი გლეხკაცი, თითქმის ორი კვირა დარჩნენ ისინი ტფილისში, დაიარებოდნენ რეპეტიციებზე და მღეროდნენ გუნდთან ერთად. ამ მომზადებაში გავიდა ზამთარი და გაზაფხულიც 1886 წლისა; ზაფხულმა მოაწია: გუნდის მონაწილენი დაიშალნენ; დადგა შემოდგომა, ყმაწვილებმა თავი მოიყარეს, გაჩაღდა სიმღერების შესწავლა; ამ შემოდგომაზედ აღნიაშვილმა მოიყვანა თავადი (გვარი დანამდვილებით არ მახსოვს), კილოკავად ვგონებ,—უნდა ყოფილიყო ფალავა, განთქმული მცოდნე გურულ-მეგრული სიმღერებისა, გუნდი ემზადებოდა კონცერტისათვის. პირველი კონცერტი რატილის ხელმძღვანელობით შესდგა 1886 წ. 26 ქრისტეშობ.

ეს პროგრამაც იმ კონცერტისა:

**პარასკევს, 26 ქრისტეშობის. 1886 წ.**

გაიმართება

## კონცერტი

I

### განყოფილება

1. ალილო (შიგნით კახეთისა).
2. მივალ მაგრამ.
3. დელა (ნემენცური ხმა).
4. გაზაფხული.
5. ნეტავი, გოგოვ, შე და შენ.

II

1. მუშური მარში.
2. საქართველოს დედოფალი.
3. გიჟი ვანო (სლავიანური ხმა).
4. ხევ-ხევ თეონა.
5. ქალო, ერთი ეს მითხარი.

III

1. ურმული გარე-კახეთისა და ქვემო-ქართლისა.
2. ხასანბეგური გადაღებული ბენაშვილის მიერ.
3. ცრემლი ბურჯანაძის ლოლოთი (ნემენცური ხმა).
4. აფხაზური.
5. მუმლი მუხასა მხედრული მარში.

წარსულს მივაპყრათ თვალნი, იქ ვეძიოთ ჯილა-დადგმულნი თავდადებულნი მოღვაწენი.

ბევრს, ბევრს შევხვდებით ამ ძებნაში პატიოსანი გრძნობით გატაცებულს, მამულის, სამშობლოს სიყვარულით ალსავსე გულს, დარბეულ-აოხრებულ არე-მარის **მოზარეს**, ღირსება-აყრილი ხალხისთვის მუდამ ჟამს მგლოვიარეს.

ერთი ასეთთაგანი იყო ლადო ალნიაშვილი, ერთის შეხედვით პატარა ფიგურა, მაგრამ ნამდვილად დიდი კაცი, დიდი მოამაგე, დიდი ეროვნული საქმისა და იდეის მზიდავი.

10 აპრილს ა. წ. შესრულდება ოცი წელი ამ პატიოსანი და უანგარო მამულიშვილის გარდაცვალებისა, რომლის ხსოვნასაც მიუძღვნი მოწიწებით ამ ჩემს უძლურს, მაგრამ გულმხურვალე გრძნობით ალსავსე მოგონებას.

ნ ა ი

# ზაქარია ფალიაშვილი

(ბიოგრაფიული ცნობები)

კვირას, აპრილის 12-ს, სახელმწიფო საოპერო თეატრში გადახდილ იქნა ზაქარია ფალიაშვილის 30 წ. მოღვაწეობის იუბილე.

ზ. ფალიაშვილი დაიბადა ქ. ქუთაისში, ღარიბსა და წვრილშვილ დედ-მამის ოჯახში. თუმცა ზაქარიას ნივთიერად ხელმოკლე დედმამის ოჯახში არ მოეპოვებოდა არც ერთი სამუსიკო საკრავი, თვით ზაქარიას და მის დანარჩენ და-ძმას ბუნებით მუსიკალური ნიჭი დაჰყვათ, რაიც აიხსნება კათოლიკური ეკლესიის გავლენით, ვინაიდან ორღანის ნაზი ხმები ატკბობენ და ანვითარებენ სმენას. ჯერ ისევ ბავშვობისას უფროსი ძმის ვანოს (ამ ჟამად სახელმწიფო ოპერის დირიჟორი) გავლენით ზაქარიას აღეძრა სიყვარული და მისწრაფება მუსიკისადმი.

1887 წ. ტფილისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღოლმა პატრ ხითარიშვილმა ორივე ძმა—ვანო და ზაქარია—ტფილისს მოიწვია, პირველი—ორღანოზე დამკვრელად, მეორე—მის თანაშემწედ და მგალობლად.

1892 წ. შევიდა ტფ. სამუსიკო სასწავლებელში, რომელიც 1899 წ. დაათავა (თეორიისა და ვოლტორნის სპეციალური კლასები). ერთი წლის შემდეგ, ქართველ საზოგადოების დახმარებით, გაემგზავრა მოსკოვის კონსერვატორიაში, რომელიც დაამთავრა 1903 წ. (სპეციალური კურსი კომპოზიციის თეორიისა, ცნობილ თეორეტიკოს ტანეევის ხელმძღვანელობით). იმავე წელს დაბრუნდა სამშობლოში და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო სათ.-აზნ. გიმნაზიაში (სიმღერა გალობის მასწავლებლად) და ტფ. სამუსიკო (ეხლანდელ კონსერვატორია) სკოლაში. აქ დაჰყო 21 წ. მასწავლებლად, ინსპექტორად, და რექტორად.

ქართულ მუსიკის ასპარეზზე მოღვაწეობა დაიწყო 189; წლიდან. ჯერ ისევ სამუსიკო სკოლის მოწაფე გამოდიოდა ქართულ კონცერტებში ნაძალადევის რკინის გზის მუშათა თეატრში, ავჭალის აუდიტორიაში და სხ. სისტემატიურად მონაწილეობდა წ. კ. გ. ს-ის საქველმოქმედო კონცერტებში და სხ. აგრეთვე მხურვალე მონაწილეობას იღებდა ხარკოვში, კიევში თუ სხვ. სტუდენტების ქართულ საღამოებში.

მოსკოვიდან ჩამოსვლისთანავე შეუდგა ქათულ სიმღერების ადგილობრივ შესწავლას, 15 წ. განმავლობაში რამდენჯერმე შემოიარა საქართველოს ყველა კუთხე კახეთიდან მოყოლებული მიუდგომელ სვანეთამდე. შეგროვილი და ჩაწერილი აქვს ფონოგრაფის საშუალებით მრავალი სიმღერა-საგალობელი, რომელის მცირეოდენი ნაწილი რამდენიმე კრებულის სახით გამოცემულია ფილარმონიულ საზოგადოების მიერ, რომლის დამაარსებლადაც ითვლება იგი.

აღსანიშნავია ის დიდი სიფრთხილე, რომლითაც ზაქარია მიუდგა ამ შეგროვილ უამრავ მასალის შემუშავებას და ლიტერატურულ ფორმებში ჩამოყალიბებას. მხოლოდ დიდი ხნის შესწავლისა და დაკვირვების შემდეგ გაბედა ხელი მოეკიდა ისეთ რთულ და უმაღლეს ფორმის შემოქმედებისათვის, როგორიცაა ოპერა.

მრავალ ვოკალურ, ინსტრუმენტალურ ნაწარმოებთა და საეკლესიო საგალობელთა გარდა, ზ. ფალიაშვილმა შეჰქმნა ყველა ქართველისათვის კარგად ცნობილი ოპერები: „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“.

„აბესალომი“-ს წერას შეუდგა 1903 და მხოლოდ 1918 დაამთავრა, „დაისი“ დაწერილია 1920-1924 წ.

ამ ჟამად სწერს ახალ ოპერას ა. შანშიაშვილის „ლატავრა“-ს სიუჟეტზე.

რესპუბლიკის მთავრობამ მიანიჭა სახალხო არტისტის წოდება. ზაქარია ძალღონით სავსეა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი უხვად დაჯილდოვებული, ენერგიით და მუყაითობით ალსავსე ბუნება, ქართველ ერის სასიხარულოდ და საამაყოდ, ჯერ კიდევ მრავალ ნაწარმოებს მოგვცემს.

ლიდა დარახველიძე

# ავადმყოფის ფიქრები

### არაზინდო

(ძღვნად იოსებ იმედაშვილს)

შავ-ბნელი ფიქრებით გაწამებული სული, სამოთხის კუთხეში მომწყვდეული...

დავრდომილი ავადმყოფი შეჰცქერის კეკლუც ეზოს, მორთულს ფერადი ვარდებით და მათ ირგვლივ დარაჯად მყოფ თვალ-უწვდენელ ფიჭვებს, მაცოცხლებელთ თავისი განუზომელად მაცოცხლებელი სუნნელებით.

მკურნავი ძალით იწვევს თავისკენ ამ უბედურ ადამიანს, სულ ჩასჩურჩულებს მომავალი ბედნიერების იმედს, მაგრამ უბედურ, ტანჯულ ობოლ სულს არა აქვს ხსნის იმედი, რადგან იგი შეპყრობილია განუკურნავი სენით.

დაღამდა. ბნელმა მოიცვა ტყე. გაიარა ცოტა ხანმაც და სერზედ, ფიჭვნარში, შემოიჭრა მთვარის ნათელი სხივები...

და გულს ჩამეშუქა რწმენა სიცოცლის განახლებისა: მაშ ღამე გაივლის და გათენდება...

და მიეცა შვება დაავადმყოფებულ სულს,—ოქროს სხივოსანი მზე გადმოგვხედავს...

13/IX არაზინდო.

### ნაზი სული

(ე. მ. სებასტიანსკის)

იყო ადამიანის ნაშთი, რომელიც... ყოველ წუთს დაჰხაროდა კეკლუც ვარდებს, თავისი უმანკოებით რომ გულს და სულს უტკბობდენ. შვებას ჰპოებდა მერცხლების ჭიკჭიკში, რომელნიც უგალობდენ სამოთხის ქვეყნის სიმშვენიერეზე, სადაც შეიძლება უმანკოთათვის სუნთქვა და ცხოვრება...

მაგრამ უხეში ადამიანის ტლანქი ხელი შეეხო მას ნაადრევად და დააზრო ნაზი ყვავილი...

ირგვლივ ყოველივე ხარობს, ხოლო ნაზი სული კი იდუმალ ჰგოდებს და კვნესის ამა ქვეყნის ამაოებაზე.

1;/IX არაზინდო.

### იმედი

(ა. ფოფხაძეს)

გრძნეული ასული, ბურუსით მოცული, მწარე ფიქრებით შეპყრობილი, გაჰყურებს შორს მოღრუბლულ ცას. ნისლმა მოიცვა მაღალი მთები და მასთან ერთად ასულის სულიც...

სჭექს, ჰქუხს, არე-მარეს უქადის შთანთქმას და მასთან ერთად უიმედო ასულს სასოს უკვეთს. .

მაგრამ გადაიარა ღრუბელმა, იჭექა, თან მოჰყვა გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმა და მალე მზემც პირი დაიბანა..

15/IX არაზინდო.

---

თამარ ც—ძე

!*!
* *

(ეს შენა, გრ. ვენაძე!)

მე მიფრა მიწოდეს...

მე ვიყავ მიფრა იმ შუაღამისას, როდესაც მარტოდ მივექანებოდი ცეცხლის რაშზე ჩემის მახვილით. .

გაქანება ჩემი იყო შეუზღუდველი და ოცნება მიუღწეველ უსაზღვროების...

შენი შეხვედრა იყო სასტიკი და უეცარი. .

შენ ჩემს წინ მოქუშული იდეგ და ვნებიანობით აცეცხლებული შენი თვალები სასტიკ ბრძანებით მიახლოვდებოდა...

მე კი შენს წინ... ახვეწილი ქალი... პროფილით ვიდეგ და შენ გელოდი...

შენ ჩემი მოსვლა ბოროტებით დაიმსახურე... ლურჯფერ სასმელით ავსებული თასი გამომიწოდე და ნელის ხმით ჩუმად მითხარი:

შენი აქ მოსვლის—ჩემი შეგრძნობის... მე დაგიმზადე ტკბილი სასმელი.. სასმელი სიდრა... სიდრა სასმელი...

ხელი მოვკიდე თასსა ავსებულს... ბაგემ მიიღო სულ ერთიანად...

მოულოდნელად გადიხარხარე შენ გესლიანად... სიდრა კი არა! ლაკმუსი—ლაკმუსი დაგალევინე...

რათ? რისთვის? მე შენთან მოველ, რომ შენ მენახე... და იმის ნაცვლად რომ შენ მოგეძლვნა გრძნობისა ცეცხლი, მომწამლე?! განა არ იცი, რომ მიფრა არ მოკვდება?.. ის არ მოკვდება... ის ათასჯერ მოვა ამ ქვეყანაზე შენს დასაფერფლად. . მხოლოდ შენ!.. შენ! ჩემო გიჟო!.. მე შენ მოგიძლვნი გრძნობის სანაცვლოდ მაღალ ეშაფოტს... და მე კი გავაქანებ ჩემს გახელებულ რაშს, ჩემის მახვილით... და მე ვიპოვი ცეცხლის ქვეყანას, სადაც მხოლოდ წვაა .. წვაა მთელი სხეულის... და მე მივფრინავ კვლავ გამარჯვებით,—

მე მზის ასული
ტყის ფერია
და მიფრა ღმერთი.

*
* *

# განმარტებისათვის

მითქმა მოთქმისა და შეცდომის თავიდან ასაცილებლად ვბეჭდავთ ჩვენს პირველ წერილს, რომელიც აკაკის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ შარშან—1924 წ. დავბეჭდეთ. აი, ეს წერილიც:

### „სად არის“... აკაკის საფლავი?

ნეტავ თუ მიაგნებს კიდევ ვინმე, სად არის დაკრძალული მშობელი ერის მოზარე წინასწარმეტყველი აკაკი?

მთაწმინდის კალთა, მამადავითის კიდე, სადაც აკაკის ნეშტი განისვენებს, იფშხვნება; სამარეს ღორღი ჰსილავს: ცოტა ხანიც და სულ მთლად წაინაშება.

ნუ თუ იმოდენ მოვალეობის გრძნობას მაინც ვერ გამოვიჩენთ, რაოდენსაც უბრალო გლეხი იჩენს თავისი მამის მიმართ—სამარეს რომ ძეგლით შეუმკობს, მოაჯირს შემოავლებს ან ქვას დაადებს.

და მთელი ერის მამას განა ასე მივიწყება შეჰფერის?

თუ მის ნაწარმოებთ ვინმე დაეპატრონა და ერთ პოემასაც არ გაიმეტებს, რომ ამით შევუმკოთ სამარე, ნუ თუ აკაკის იმდენი პატივისმცემელი აღარავინ გამოუჩნდება, წვლილი გამოიღოს თავისი სახელოვანი მოციქულ-მოძღვრის სამარის გასაპატიოსნებლად.

საჭიროა სულ უბრალო: რამდენიმე არშინი კედელი, რათა ღორღის დენა შეიმაგროს, სამარე გამშვენიერდეს და ალალმით (ბიუსტი) შეიმკოს.

საჭიროა დროით მივხედოთ ამ საქმეს, თორემ იქნება შემდეგმა თაობამ ამოიკვნესოს:

აკაკის საფლავს ვეძებდი
„ვერ ვნახე—დაკარგულიყო.
გულამოსკვნილი ვსტიროდი,
სადა ხარ ჩემო სულიკო?“

**იოსებ არიმათიელი**

(„თეატრი და ცხოვრება“ 1924 წ. № 11, ივნისის 1).

შალვა დადიანი

# დანიელა „ურია“

დანიელა „ურია“
ჩვენში ვინ გაურია?
ღვინო დაულევია—
გაქართველებულია.

მგონი ასე მღერის თვით დანიელა თავის თავზე

და ეს ხუმრობა მისი სახელის გარშემო შექმნილი ამტკიცებს მის პოპულიარობას,

რადგან, როდესაც ეს ლექსი დაიმღერება, ყველას ყურში ჩაესმის დანიელას გამყივანი ხმა,

გამძლე და დაუღალავი

მოუწყინრად, იმერულათ მოკრიმანჭულე.

ეს მაშინაც, როცა თვით დანიელა არ არის მომღერალთა შორის.

ისე კი ვინ არ იცნობს დანიელას განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

რომელი ქორწილია, რომელი ლხინია სოფლად თუ ქალაქად, დანიელა არ ენახოს, დანიელასთან „დრო არ გაეტარებინოს“ და სიამოვნება არ ეგრძნოს,

რადგანაც დანიელა მღერის მას, რასაც მღერის თვით ხალხი, სულ ერთია ეს ევროპიულათ არის შეფერადებული თუ პირდაპირ ქართულ კულტურულ გემოვნების ნატეხია.

და მუდამ მღერის მას, რაც ამ ჟამად ამღერებს ხალხს.

ამიტომაც ამ ხალხს უყვარს თავისი „გამომთქმელი“ და დანიელას არ ივიწყებს.

ისე უყვარს, რომ ლხინის მეტს არას აკადრებს,

სიმღერის გარდა არაფერს შებედავს.

და ეს თითქო წვრილმანიც უთუოდ მაჩვენებელია ჩვენი დიდი ამბის,

რომ

საქართველოში ებრაელი მუდამ გრძნობდა თავს მოყვარეთ, რომ ქართველი და ებრაელი მუდამ ჟამ შეთვისებულნი იყვნენ.

ეს კი ხდება უშუალოდ და. . .

ამის სასიამოვნო ექსპერიმენტი დანიელას გარშემოც ხდება.

და უთუოდ ამ სფეროშიც დანიელა პირველი მერცხალი, რომლის შემდეგ მე ვგრძნობ, მე ვხედავ მოდის მთელი გუნდი ებრაელთა

სასიამოვნო, საჭირო და ღირებულ მოღვაწეთა სახით.

ისინი უთუოდ მოვლენ და მოდიან მეცნიერული იარაღით, ხელოვნების სამსახურით.

ეს იქმნება დიდი შენაკადი.

დანიელამ დაიწყო სიმღერით, მან თავისი შესაძლებლობით მოიტანა მშვენიერი ყვავილები სიყვარულისა.

ჩვენც უმღეროთ მას ქართული, გრძელი და მძლავრი „მადლობელი ვართ!“

ქ. რამიშვილი

# განმარტოების ნატეხები

## საწყალი დედა

ვერის დაღმართზედ გინახავთ ყველას:
მშიერი დედა გროშებს თხოულობს.
(გულ-ქვა-რეგვენი იტეხავს ხველას)
და თანაგრძნობას ვერსად პოულობს.
. . . . . . .
სატივოს დახლზედ არლანი კივის.
შვილმა გაჰყიდა დედის ნამუსი.
მეთევზეს მუდამ გემო აქვს პირის:
ჩანგალს მოედო ქალის სამოსი.

## მოხეტიალე ოჯახი

აგერ, ეზოში ამუსიკდა მთელი ოჯახი:
ცოლი—დაირით, ქმარი—ძველი ვიოლინოთი,
ხუთი წლის გოგო ცეკვავს როგორც მანქანის ჩარხი.
თვრება პოეტი, მუსიკოსი, სურათის ღმთიც.
ამ მწარე დრამის ნათესავი იცინის ხარბად.
შორეული კი მთვარესავით სევდიანდება.
ოხ, ტვინცივობა დიდიხანი იდგომებს ალბად
და გათენება ღვთიურ ცეცხლით დაგვიანდება!..

## გრიგალი და მატიანე

ამოვარდა გრიგალი
როგორც ტვინის ანთება.
გაიცრიცა იღბალი
და ჩაჰქრა ანათემა.
— მზემ დაადნო ბორკილი!—
მოგვითხრობს მატიანე:
ძმა ფლიდი და ორპირი
ღმერთო გაატიალე.
ჩემი სულის საფარი
არის თრთოლის მორევი,
მოვა ანდუყაფარი
და მას ვეამბორები.

ვალენტინა

# გიორგი დავითაშვილს

იცის პარტერმა გაფითრება და ჟრუანტელი,
როცა შენს ბაგეს ვნებიანი მოსწყდება ბგერა;
დასეტყვავს გულებს, ათრთოლებულთ ცეცხლის ფანტელი,
როცა რამპისკენ გადმოისვრი ანთებულ მზერას.

ვიცი მორელლას სიყვარული რომ თვალს გისველებს:
შენ უცხო წუთში ამოიცან ის კეთროვანში.
დაიტევ გულში ათიათას შხამიან გველებს,
რომ დაუმზადო მას ღალატში ბნელი რევანში.

დაიწვის ვნება; და ფერფლივით დარჩები ცივი,
როს აორთქლდება კულისებში სუნთქვა ამჩვარი.
ჩამოჰკრავს გულში უკანასკნელ რეზონანსივით
სიტყვა: „მორელლა“ განშორების მწუხარე ზარით.

6/IV 25



**მარო ვერელი**

ახალგაზრდა ქართველი მომღერალი ქალი, რომელსაც ამ ჟამად ისეთი ბედი ეწვია, რომ მოხვდა მოსკოვში სტანისლავსკის სამუსიკო სტუდიაში, სადაც მხოლოდ უნიჭიერესნი და რჩეულები სწავლობენ ხოლმე. ჩვენი მთავრობაც შეპირებულია, რომ ამ ქალს სტიპენდიას დაუნიშნავს.

# აკაკის დაუბეჭდავი ლექსი*)

ტიალმა წუთისოფელმან
ნაღველი დამალევინა;
არც მომკლა, არც დამარჩინა,
არც სული დამალევინა.

ცრემლი რომ მარჩობს, ვიცინი,
ჩემი პირბადე ის არი.
სხვას ხელთ რათ მივცე ჯირითად
ჩემი გულისა ისარი?

ჩემი ეკალი სხვისათვის
ია არის და ვარდები.
თავო ნუ ეძებ თანამგრძნობს;
სისულელეში ვარდები.

სჯობს, ისევ წუთისოფელმან
ნაღველი დამალევინოს:
არც მომკლას, არც დამარჩინოს,
არც სული დამალევინოს!

*) ეს ლექსი სულმნათ მგოსანს დაუწერია მხცოვან მსახიობქალის ქეთო ანდრონიკაშვილისათვის სასიმღეროდ და მისთვისვე მიუძღვნია. ჩავიწერეთ ზეპირად. თუ ვისმე ეგულება დაბეჭდილი ან დედანი, მოგვაწოდოს.
რედ.

# ალ. ყაზბეგის დაუბეჭდავი ლექსები

**მტერს**

მტერო, დამჩაგრე? არ ვსტირი!
ტირილი დიაცთ წესია!
ბევრჯელ ვყოფილვარ ამ დღეში
და არც კი დამიკვნესია!

მაცადე! მეცა გავმართო
ჩახჯახი ცეკხლის მკვესია,—
სულ წმინდით შოგამკევინეფ,
რაც ჩვენში დაგითესია! *)

1887 წ.

**მ. გოძერია.**

## აკაკისათვის

განვლო სწორედ ათმა წელმა,
რომ არა გვყავს ჩვენ აკაკი;
აღარ ისმის მის სიმთ ჟღერა,
ვით ჩანჩქერის კლდით რაკრაკი.

თუმც მოგვშორდა ხორციელად,
სული აქვე დანავარდობს;
სახელი და სახე მისი
თვალ-წინ გვიდგას, ია-ვარდობს.

მოყვარული, მოცინარი,
გადმოგვცურებს ის მთა-წმინდით;
ხელთ უპყრია თვის ი ქნარი,
და გვილოცავს გულით წმინდით,

რომ ქართველნი ისევ დავრჩით
და მკლავ-ემაგრობთ ძველებურად.
საუკუნო ჭირს გადავრჩით;
ძმებთანა ვართ ისევ ძმურად.

და ამ სახით ჩვენ წინ ვივლით;
ბევრ სიძნელეს გადაველახავთ,
მოვიშუშებთ ძველთა ტკივილთ,
ახალ მიზნებს დავისახავთ.

ჩვენი ბედის ძიებაში
ლამპრად გვიძღვის მისი მადლი.
ჩვენც მივუძღვნათ მას ფეშქაში:
დავაფასოთ მ სი ღვაწლი.

სად დავფარეთ შავი მიწით,
ტიტველია ის სამარე.
იხრუკება დღისით—მზისით,
იცრემლება მისთვის მთვარე.

და ჩვენ გვმართებს ერთ-დროულად
მოვიტანოთ ჩვენი წვლილი
და შევამკოთ ღირსეულად
ის სულმნათი და მარტვილი...

აპრილის 6.

*) ეს ლექსი ამოღებულია ალ. ყაზბეგის დაუბეჭდავ ლექსების ...მ რვეულიდან, რომელიც გლეხმა—აზმეტის სახალხო მოსამართლემ მიხეილ ქურციკიძემ გამოუგზავნა თავის მეგობარს დ. თურდოსპირელს. დანარჩენ ლექსებსაც მოკლე ხანში გამოვაქვეყნებთ.
რედ.

# ქართველ მოღვაწეთა წერილები

ამითი კვლავ ვიწყებთ ქართველ მოღვაწეთა კერძო წერილების გამოქვეყნებას. ასეთ წერილებს ჩვენი საზოგადოებრივ განვითარება-წინსვლის ისტორიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ყველას ვთხოვთ, ვისაც კი მოეპოება რომელიმე, უკვე გარდაცვლილ საზოგადო მოღვაწის, მწერლის თუ მსახიობას წერილი, მოგვაწოდოს. დაბეჭვდის შემდეგ დედანს ან მასვე (პატრონს)



ილია წინამძღვრიშვილი.

(18—1981) ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო ( წინამძღვარიანი კარის") სკოლის შემქმნელი.

დავუბრუნებთ, ან მუზეუმს გადავცემთ, როგორც წერილის დედნის პატრონი ისურვებს. ამ ჟამად ვათავსებთ ჩვენში კარგად ცნობილ, პირველ სამეურნეო საშუალო ქართულ სასწავლებლის (წინამძღვარიანთ კარის სკოლის) დამაარსებელ-სულისჩამდგმელის ილია წინამძღვრიშვილის წერილს, მის ერთ საუკეთესო მოწაფის მიხა მამულაშვილისადმი მიმართულს. ვბეჭდავთ უცვლელად. რედ.

**„ჩემო სულიერო შვილო მიხა**

ღმერთსა ვთხოვ შენი ჯანმრთელობას. შენი შრომას ფასი არა აქვს საქართველოს მოზარდ შვილებისთვის, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა. ეს ჭეშმარიტება დამტკიცდა ხალხის გრძნობით იმ დროს, როდესაც მცხეთის არეულობა მოხდა: თავხედობით ბოროტ მომქმედ პირთაგან ცარცვა-გლეჯისთვინ. ამ დროს ხალხმა ნამდვილად გამოთქვა რომ შვილი ხარ იმათი, არ შეეხო შენ ღვაწლსა და შრომას, შენგნით დაარსებულს ნატახტრის ფერმას, საიდამაც იმათ შენგნით ურიგდებოდათ გასამრავლებლად სხვადასხვა გვარის ხეხილები. ამით აასრულე უკვდავი მგოსნის რუსთველის სიტყვები:

რასაცა გასცემ შენია,
რაც არა დაკარგულია.

—

თუ თავი შენი შენ გახლავს
საწყლად არ იხსენიები.

შენი შრომა ყველა მეურნესთვინ თვალსაჩინოა. არავის ჩვენში ეგეთი საქმე თავისი დაუღალავი შრომით და ცოდნით არ გაუკეთებია. არვისაგან ნივთიერი შემწეობა არა გქონია.

მე ეს სულ ვიცი და აღტაცებული ვარ სუყოველთვინ შენი კეთილის წარმატებით და მოქმედობით, როგორიც გამოჩენილი კაცი სულით და გულით. ამისთვის მიყვარხარ ჩემო სულიერო შვილო და ვარ მეგობარი შენი ოჯახისა.

შენ წმინდა, უანგარო კაცი ხარ.

ღმერთმა ქნას საქართველოში გამრავლდეს შენისთანა ადამიანები, მოსიყვარულენი სამშობლოსი. დარწმუნებული ვარ, რომ შენი შვილი შენგნით და შენი ძვირფასის მეუღლისაგან გაზრდილი კარგი კაცია.

ნათქვამია: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე".

ვისურვებ კიდევ, რომ შენი სავაჭრო, დარბაზი ყვავილებით უფრო განსპეტაკდეს. ყველა სიამოვნებით შემოდიან სავაჭროთ და იქიდან გამოდიან აღტაცებით. მიაქვთ გამოჩენილი, მშვენიერი სურნელოვანი ყვავილები. ვაშა, ვაშა ჩემო მიხა.



ჩემო სულიერო შვილო მიხა.

ღმერთსა ვთხოვ შენი ჯანმრთელობას. შენი შრომას ფასი არა აქვს საქართველოს მოზარდ შვილებისთვის, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა. ეს ჭეშმარიტება დამტკიცდა ხალხის გრძნობით იმ დროს, როდესაც მცხეთის არეულობა მოხდა: თავხედობით ბოროტ მომქმედ პირთაგან ცარცვა-გლეჯისთვინ. ამ დროს ხალხმა ნამდვილად გამოთქვა რომ შვილი ხარ იმათი, არ შეეხო შენ ღვაწლსა და შრომას, შენგნით დაარსებულს ნატახტრის ფერმას, საიდამაც იმათ შენგნით ურიგდებოდათ გასამრავლებლად სხვადასხვა გვარის ხეხილები. ამით აასრულე უკვდავი მგოსნის რუსთველის სიტყვები: რასაცა გასცემ შენია,

რაც არა დაკარგულია.

—

თუ თავი შენი შენ გახლავს
საწყლად არ იხსენიები.

ილ. წინამძღვრიშვილის ავტოგრაფი

ჩემი პატივისცემა გადაეცი შენ მეუღლეს. ამით ვათავებ ჩემს წერილს და შემდეგში უფრო ბევრს დავსწერ ქება და დიდებას.

შენი მეგობარი **ილია წინამძღვარიშვილი.**"

## ყვავილთა შორის

ვინ არის მიხ. მამულაშვილი?

ჩუმი, მოკრძალებული, მორცხვი მებაღე, ყვავილთა შორის, ვით თვით მისი მრავალფეროვანნი და მრავალსუნნელოვანნი დეკა, ია და ღვიანი. დილის ცვარ-ნამით გაცრეცილი, პატიოსან შრომაში გაკაჟებული, გამობრძმედილი მუშა, მოსიყვარულე და ნაამაგდარი თვის ტვირთმძიმე უღლის ქვეშ მყოფ სოფლელ მეზობელ გლეხკაცობისა განურჩევლად ეროვნებისა.

ღირსეული მოწაფე საქართველოს დიად პიროვნების ილია წინამძღვრიშვილისა, რომელთანაც არას დროს კავშირს არა სწყვეტდა და მამაშვილურ მიწერ-მოწერით თავს იმხნევებდა, მომავლისაკენ იმედიანათ იყურებოდა, არა ფანტაზიებში თავის გახვევით, არამედ პრაქტიკულ შრომა-ნაყოფიერების შედეგებით.

აი მოკლე დახასიათება იმ ჩუმი მოღვაწისა, რომელსაც სოფლად და ქალაქად გაუმართავს საბაღნაროები **„ხოლეილდორის"** სახელწოდებით და უამრავ გლეხკაცობას მუქთად ურიგებს, თვის სანერგეებიდან, ათასგვარ ხეხილ-ნერგებს და კულტურულ მუშაობას აწარმოებს ხალხში აგერ 27 წელ. აი ეს პიროვნება გახლავთ მიხა მამულაშვილი.

მიხა მამულაშვილი სოფლის გლეხის შვილია. იცის სოფლელთა ჭირ-ვარამი და მათი გულის მესაიდუმლეა.

მიხა მამულაშვილმა პირველმა უჩვენა მცხეთელ გლეხკაცობას ამ 27 წლის წინედ მაგალითი პრაქტიკულ შრო-უნარიანობისა და გლეხიკაცის მარჯვენის სიძლიერისა, რისთვისაც გლეხკაცობამ იგი უზომოდ შეიყვარა და თავის დროზე დაიფარა კიდეც, როგორც ილიაც ადასტურებს ზევით მოყვანილ წერილში.

დღეს კიდევ უფრო გვჭირია ასეთი მუშაკები.

ვაშა, ჩვენი მშრომელი ხალხის ნამდვილ შრომის უნარიანობის მაგალითის მაჩვენებელს! დ. პ.

(დავით პავლიაშვილი, გარდ აპრ. 12).

# დ ღ ე ო ბ ა შ ი

(გურული სცენა)

ხუთშაფათ სალამოს, ბატონო, მივედი სახლში. ძაან მოწყენილი შემხვთა ერთი ჩემი ძველი ნაცნობი ქალი, გამიცინა და მითხრა: გამარჯობა. ჩამუართვით ერთქამეთს ხელი და, სულო ცოდვილო, შევიგონე ჩემი ხალასტოობა და პაწე ქე წევეარშიყეთ. უცფათ მოტრიალდა აი ქალი და მითხრა: ამელამ ჩემი დღეობაა და თუ ჩემი ხათრი გაქ მესტუმრეო...

მე უთხარი: რა ვქნა შენი ჭირიმე წამოსვლა სულით და გულით მინდა, მარა ისე გაფხეკილი ვარ, რომე ღამე რწყილები მეგორდიას მიშობა ლოგინში მეთქი. მასთან არც შენს ქმარს ვიცნობ და აი უცხო კაცი რომ მივალ ახალ ჯვარდაწერილების ოჯახში, რას იტყვის და იგიც ასე ცარიელ-ტარიელი მეთქი.

— შენ მაგის ნუ გეშინიაო, ამეილო და ნახევარი მილიონიანი მომცა: წაი პაწე კამფეთი იყიდე, იგი ვითამ საჩუქრად მომიტანე და დანარჩენი გქონდეს ჯიბაში სახარჯოთო, ჩემს ქმარსაც გაგაცნობ და ერთი კარგათ წევიქეიფოთო .. მომცა „ანდრეზი", დამეშვიდობა და მომაძახა: იცოდე არ მომატყუო, თვარა სამუდამოდ დაგემდურებიო... ავდექი, ვიყიდე ერთი კოლოფი კამფეთი, წუული და წევედი. მივედი თვარა მაშვინე გამუარდა ჩვენი ახალგაზრდა ხაზეინკა და მომაძახა: „ა ა ა ა, სკოლკო ლეტა, სკოლკო ზიმ არ მინახავხარო". შემიყვანა სახლში და გამაცნა მისი ქმარი. დევიწყეთ ლაპარიკი ამაზე, იმაზე და ბოლოს გამიყვანეს ზალაში, სადაც კარტს თამაშობდენ, დამიდგეს სკამი და ქე არ ჩამითრიეს მეც ამ თამაშობაში! მისდღემჩი აფერი არ მომიგია და იმ ღამეს ისე დატრიალდა ჩემი ბედი, რომ კაი ათი მილიონი მევიგე. მევიდა ჩემი ხაზეინკა ქალი და მიქნა თვალი—ადექიო. ადგომა მინდა, მარა შემრცხვა მოთამაშეების და ისევლე დევიწყე თამაში. ამასობაში ხაზეინკას დოუწყია სტოლის გაშლა. და უცბათ დეიძახა: აბა გაათავეთ თამაშობა და ვახშამი მიირთვითო. მეც ავდექი, აი ფული ევილე და გამევიბესკმე ჯიბეები. იმ ღამეს მშვენი დროი გავატარე და სამ საათზე გუუყევი შინისკენ... გვარიანი გადაკრული ვიყავი. შევედი სახლში და ერთი დიდ-კაცურად ჩავახველე..

— „ღვთის ცეცხლი და შავი ჭირი", მითხრა ჩემმა ცოლმა: შე ოჯახდაქცეულის შვილო, სად დეიკარგე თელი დღეი და ღამე. დღეს ბაღნებიზა ჭადის ფული არ დაგიტიებია და შენ კი დამთვრალხარ და გამსკდარხარო...

მე უთხარი.

— ნუ გეშინია, ჩემო ეფროსინე, გუშინ ჭადის ფული არ მქონდა და ახლა ჭადი კი არა სულ თეთრ პურს გაჭმევ კაი ათი მილიონი მაქ ჯიბეში მეთქი.

— იმის მეტი... ათი სახარება გაგიწყვა შენ. ათი მილიონი კი არა ათი ჭირი არ გინდაო!...

რომ ამევიღე ფულები, დავყარე სტოლზე და თანაც გეიგო, რომ მოგებული მქონდა, ჩემმა კნეინამ შეაბრუნა კეხი და დამიწყო მუსაიფი.

— გენაცვალე, ახლა დაწევი და დილით ადრე ავდგეთო. გული ხომ არ გერევა ან იქნება თავი გტკივა და ტილოს დაგისველებო.

— არა, არ მინდა მეთქი.

ჩემს ცოლს სიხარულით აღარ დუუძინია და დილაადრიანად გამაღვიძა. წევედით, ბატონო, ბაზარში, და ვიყიდეთ თითქმის ყორიფელი: ორი ფუთი ჭადის ქფილი, ერთი ფუთი კარტოფილი, ერთი ფუთი პურის ქფილი, ხახვი, ლობიე, საპონი, ნავთი, ჩაი, შაქარი, ყველი, ნახშირი, ავკიდე ყველე მუშას, მივიტანე შინ. გამოცვინდენ მეზობლები და ერთმა სთქვა.

— აი, რა ამბავია, პაიოკი მიუღიაო..

შევედით სახლში. გადამეკიდა ჩემი ცოლი: გინდა თუ არა, აგი ყველი ახლავე დავჭრათ და ბანკაში ჩავაწყოთო... მეც დუუჯერე, დავჭარი და ჩავაწყვეთ, მარა ერთი დიდი ნაჭარი ყველი დარჩა და არ ჩევიდა ბანკაში... ჩააწევი, ჩააწევი და ჩავაო, მეც გავბრიყვდი და რაც ღონე მქონდა, დააწევი... ამ აწოლ-დაწოლაში გასკდა ბანკა და გამეღვიძა კიდეც. **რ. ჯიბილ.**

**(რაფიელ ჯიბლაძე)**

არჩილ სავანელი

# „ფული სტოლზედ“

ვოდევილი I მოქმედებად

მ ო ქ მ ე დ ნ ი:

**იასამანიძე**, ექიმი, 35 წ.
**ბაბულა**, მისი ცოლი, 35 წ.
**ჯეირანიშვილი**, ექიმი, 45 წ.
**ქიტესო**, მსახური.
**ფერაძე**, სახლის პატრონი.

I ავადმყოფი } გლეხები
II ავადმყოფი }

სცენა: ექიმის კაბინეთი.

**იასამანიძე** (მარტო დადის აღელვებული). ამ ჩემმა დარბაისელმა კიდე რო ვერ დაივიწყა თავისი წინანდელბური კნეინობა!.. აბა ვის გაუგონია ამისთანა ქესატობის დროს ადამიანი ისევ ძველებურად რაღაცა პასკების გამოცხობაზე ჰფიქრობდეს... ეს კი არა და, ამან სულ ასე იცის ჩემი თავბრუს ხვევა... სამსახურზედაც ეგრე ამიტყდა... ჩემთვის პატიოსნად ვმსახურობდი რკინის გზაზედ, ერთი ხელის მოსმით სამოც ავადმყოფს გავისტუმრებდი ხოლმე, ჯამაგირიც კარგი მქონდა... ეხლა კი რა?!. არა, გინდა თუ არა, თავი დაანებე მაგ შენ რკინის გზის ჭუჭყიან ხალხსაო, გადმოდი შუაგულ „ცენტრ“ ქალაქში და დიდი პრაქტიკა გაიჩინეო... დიაღ, „გაიჩინეო“... „გაიჩინეო“, თითქოს ავადმყოფები მართლა იატაკიდან ძვრებოდენ...

**ბაბულა** (მარჯვნივ კარიდან გამოდის). აი, ეს სია, რა და რა არის საჭირო პასკისთვის.

**იასამ.** ჰმ, აკი გითხარით! (ირონიით) მერე და, პატარა მეტი კიდე დაგეწერა... აბა, ორი ფუთი რას გვეყოფა.

**ბაბ.** მაინც რო არ გვეყოფა... მგონი ხედამ რამდენი შემსვლელ-გამსვლელი გვყავს... ზოგი ეხლა ჩვენებისთვინაც დაგვჭირდება გასაგზავნად.

**იასამ** რატომ, რატომ!... თუ კი ისინი გვიგზავნიან, ალბათ ჩვენც უნდა გაუგზავნოთ სამაგიერო.

**ბაბ.** გაცვლა-გამოცვლა ვაჭრების ჩვეულებაა.

**იასამ.** და შენ როგორც დიდი კნეინა...

**ბაბ.** უთუოდ... გასკდენ გულზედ, არავის ჯიბრს არ შევჭამ... სწორედ ეგრე... (გადის).

**იასამ.** (თვალს გააყოლებს) არ დაიშალო... გასასკდომი გული იმათ კი არა, მე მაქვს, მე, რო ლამის ჭკუაზე შევიშალო... ბიჭოს, ეს ორი თვეა ჩემს ოჯახში კაპიკს არ გაუვლია და ეს კი აქ ვილაცეებს მაჯიბრებს, ჰა!.. (ზარი) აგერ, იქნებ ღმერთი გაუწყრეს და ვინმე შემეეხეტოს!.. (შემოდიან ქიტესო — წინა კარებიდან, ბაბულა — გვერდის კარიდან):

**ბაბ.** ზარს რეკამენ მგონი.

**იასამ.** მესმის, ჩემო კარგო.

**ქიტესო.** ავადმყოფი ტყეშელაძე გახლავთ, იმ დღეს რო დაგებარებინათ.

**იასამ.** უთხარი შემოვიდეს. (ქიტესო გადის) არიქა ბაბულა, ძლივს ავადმყოფი გაგვიჩნდა... (იცვამს საჩქაროთ საექიმო ხალათს).

**ბაბ.** გაგვიჩნდა და აბა შენებურად ნურაფერს გამოართმევ.

**იასამ.** არა, ქალო, ეგ ის სოფლელი ავადმყოფია, იმ დღეს შარდი რო დამიტოვა, მითხრა: თუ კარგად გასინჯამ და გამასაღებ, კვერცხებით და ქათმებით გაგამსებო.

**ბაბ.** მერე, ხომ კარგად გამოუკვლიე?

**იასამ.** გამოვუკვლიე ახლა, მამა მაგისი მიცხონდება, სულ იმითი დავითითხნიდი ხელებს.

**ბაბ.** მაშ როგორაო, აბა?

**იასამ.** ეგ მე ვიცი რასაც მოვახსენებ.

**ბაბ.** ისიც კვერცხებსა და ქათმებს მოგვიტანს, ჰა?

**იასამ.** უთუოდ... მაგრამ რო აღარ შემოდის!.. (იხედება ფანჯარაში). აბა, შეხედე, კაცი ურმით ჩამოსულა, ალბად ბევრს რამეს ჩამოგვიტანდა.

**ბაბ.** რა ვიცი, ე წინდაწინ გულები კი შევიწუხეთ რაღაცა ორ ფუთ პასკაზე და... თუ კი კვერცხები სახლში გვექნება, შენა ნახამ — სამი ფუთის გამოცხობაც არ მოვახერხოთ.

**იასამ.** (ღიმილით). ძველებურად, ჰა?

**ბაბ.** მაშ როგორ გგონია... მიყურე ჯერა... (შემოდის I ავადმყოფი, ბაბულა ფიცხლავ გადის).

**იასამ.** ოჰ, ტყეშელაძე, შენა ხარ?

**I ავადმყოფი** დიაღ, თქვენი ჭირიმე, მე გახლავართ ტყეშელაძე, აბა სხვა ყოფილიყო, გვარიც ხო სხვა ექნებოდა.

**იასამ.** ამბავი?.. როგორ თქვენი ჯანსაღობა?

**I ავადმყ.** ჩემი ჯანსაღობა, თქვეი ჭირიმე, თქვენ უფრო მოგეხსენებათ, თუ რაიმე წაიკითხეთ იმ ბოთლიკებში.

**იასამ.** მართლა ბევრი შრომა დამჭირდა...

**ავადმყ.** მერე, თქვეი ჭირიმეთ?

**იასამ.** ბევრმა ჩემმა შრომამ და გამოკვლევამ, მადლობა ღმერთს, უნაყოფოთ არ ჩაიარა — თქვენ ამ ჟამად არაფერი გტკივათ.

**ავადმყ** (შეფიქრიანებული) ჰი!.. ვითომ დავიჯერო!..

**იასამ.** ჩემისთანა განთქმულ ექიმს უსათუოთ რო ყოველთვის დაეჯერება.

**ავადმყ.** რატომ, თქვეი ჭირიმეთ, დავიჯერებ თუ კი ეგრეა... კაი სიტყვაა, უნდა დავიჯერო... მერე და, ის ბოთლიკები ხომ ისევ თქვენ დაგრჩებათ?

**იასამ.** როგორც გენებოთ, თუ გინდა უკანვე წაიღეთ... ვეტყვი ბიჭს ეხლავე გამოგიტანს.

**ავადმყ.** უჰ, რა ბრძანებაა, თქვეი ჭირიმეთ, ახლა მაგისთვისაც ბიჭის შეწუხება... თავად არის ეხლაც ჩემს ხარებს უდგია. ვითამ ურმითაც გიახელით, ჩემი თავი დიდი ავადმყოფი მეგონა... გადღეგრძელათ ღმერთმა, აგრე მცოდნოდა (დგება) ისე ახალგაზრდა ბოჩოლეებს ურემში რა შემაბმეინებდა!..

**ბაბ.** (კარებიდან) არიქა, ვინძლო, ეგეც შენებურად ხელიდგან გაუშვა, და მაშინ გამოგიცხვება უფრო ბევრი პასკა.

**იახამ.** (მოკრძალებით) მერე და კვერცხები?..

**ავადმყ.** როგორ, თქვეი ჭირიმეთ!.. განა სალებშიაც იღებთ რამესა?!. ჰეი!.. ე მე კი თუ არა მტკივა რა, ე ჩემს კვერცხებთან ვილას რაღა საქმე აქვს... გამიგონია, აქიმი ავადმყოფისგან იღებს და არა ჩემისთანა სალი ხალხისაგანაო.

**იახამ.** (შერცხვენილივით) როგორც გენებოთ!..

**ბაბ.** (კარებიდან) ეგრე, გენებოს და...

**ავადმყ.** იყავით კარგად... თუ ავად გავხდები, ენდეთ ჩემს სინდისს, მე თქვენ არ დაგივიწყოთ... ე ჯერ კი ღმერთმა დამიფაროს ავადმყოფობისაგანა და... (გადის კლაკნით).

**იახამ.** (გაბრაზებული) მოვიდა სეტყვა —დახვდა ქვაო... სწორედ ამაზედ იტყვიან აი.. (გამოდის ბაბულა).

**ბაბ.** იმან მაამოს ძახილით ალხეინად სოფლისკენ გაუტია და შენ, ვინ იცის, აქ არაფერიც არ დაგიტოვა?

**იახამ.** რაში ეტყობა!..

**ბაბ.** მერე ახლა?

**იახამ.** მერე ახლა და, სწორედ ისე, როგორც ხედავ.

**ბაბ.** ეჰ, ადამიანი რო მჩატეთ მოიქცევა...

**იახამ.** არა უჭირს რა, ეხლა სულ სხვა ჭკუით მოვიქცევი: ლომ-კაცა რო მოვიდეს, ლომ-კაცა, მაშინათვე ვეტყვი, თუ არ იწამლე—ამ ორ დღეში მოკვდები მეთქი და აბა სადღა გამექცევა.

**ბაბ.** რა ვიცი, ე რაიმე ზომები კი უნდა მივიღოთ და. (ზარი).

**იახამ.** აგერ!.. დამაცადეთ, დამაცადეთ, მე თქვენ გაყურებინებთ სეირსა.

**ბაბ** (გადის, იქვე კარებიდან იცქირება).

**ქიტესო.** (შემოდის) ავადმყოფი მოიყვანეს, მაგრამ გავისტუმრე.

**იახამ.** რამ გადაგრია, კაცო, როგორ თუ გაისტუმრე!..

**ბაბ**. (გამოდის).

**ქიტ.** მეკითხებოდენ: შენი ექიმი თუ დასთან ხარობსო, საჩქაროდ გვჭირდებაო.

**იახამ.** მერეო?

**ქიტ.** მეც კარგათ ვუპასუხე, როგორც თქვენ დამარიგეთ: დასთან კი არ ხარობს, ერთ-თავად სახლში ზის და სულ საუკეთესო ათაშანგიანებს იღებს მეთქი... იმ სულ-წაწყმედილებმა სუნთქვაც არ დასძრეს, პირკატანაცემივით მაშინათვე უკან გატრიალდენ.

**ბაბ.** იმათ ალბათ დასტაქარი სდომებიათ, ამას კი ვერა გაუგია რა.

**იახამ.** ისევ დასტაქარი სდომებოდეთ, მე რა გამიჭირდებოდა.

**ბაბ.** კითხეთ მაგის თავსა!

**იახამ.** კაცო, აქნამდისინ რითი ვერ გაგიგია, ავადმყოფი მოვიდეს, იმასთან ბევრი ლაპარაკი არ არის საჭირო, გაუღე კარი და მაშინათვე ჩემთან შემოიყვანე.

**ქიტ.** მაგაზე ადვილი რაღა გახლამთ... თუ კი ეგრეა, გაჩნდეს ერთი კიდე ვინმე, მიყურონ როგორი ჩემებური კვანტი გამოვსდო და მაშინათვე აქეთ გამოვუძახო. (ზარი) ღმერთო გვიშველე, აი კიდე გაჩნდენ. (გარბის).

**იახამ.** მართლაცა და ამ ავადმყოფებმაც როგორი პანტასავით მოაყარეს!..

**ბაბ.** რა ვიცი, ე შენ კი ვერა სარგებლობ და.

**იახამ** არა უჭირს-რა, ხომ გეუბნები ჭკუა ვისწავლე მეთქი.

**ბაბ.** აი, შეგეტყობა.. (გადის).

**2 ავადმყოფი.** (შემოდის) საღამო მშვიდობისათ.

**იახამ.** დაბრძანდით, ჩემო კარგო.

**2 ავადმყ.** ეხლახან ჩვენებიანთ ზალიკო შემომხვდა გზაზედ, თქვენ რო ის ერთი ნახვით გაგესაღებინათ... მერე რა მადლობელი გარბოდა სახლისკენ...

**იახამ.** მეც აკი ძალიან მადლიერი დავრჩი.

**2 ავადმყ.** რატომაც, თქვეი ჭირიმეთ, უსათუოდ რო თქვენც გიამებოდათ ავადმყოფის აგრე სასწაულებრივ განკურვნა... აკი და, მთელ სოფელში გავარდნილია თქვენი სახელი... აკი და, მეც იმიტომ მოგაშურეთ...

**იახამ.** თქვენ რაღა გტკივათ?

**2 ავადმყ.** მტკივა კი არა, თქვეი ჭირიმეთ, შარშანაია, ე რაღაცა ტრუზიანობა შემოიღეს, იქა ვმუშაობდი და ცოტა როგორღაც ქეიფის დროს... (ჩასჩურჩულებს ყურში) დიაღ და, ეხლა მინდა გეგესინჯოთ, რა ვიცი, ხომ მოგეხსენებათ ქვეყნის ამბავი, აპა მე სიდან რას შევიტყობ, თუ არ თქვენისთანა სტავლული...

**იახამ.** უსათუოთ, უსათუოთ... აბა, გადიძრეთ ტანისამოსი.

**2 ავადმყ.** ეხლავე, თქვეი ჭირიმეთ, არც მაგაზე დაგზარდებით.

**იახამ.** (სინჯავს) აბა, ჩაიცვით... (აქეთ) ამისთანა სალი ადამიანი ორი არ მინახავს...

**2 ავადმყ.** აბა თქვეი ჭირიმეთ, სტუმაქში თუ მიპოვნეთ რამე, ნუ დამერიდებით, გულახდილად მითხარით.

**იახამ.** დამალვა რა საკადრისია, ყველაფერსაც სწორედ გეტყვი: ძალიან ავადმყოფობა გაქვთ, დიდი რჩენა დაგჭირდებათ.

**2 ავადმყ.** რას მეუბნებით?!. მაშ საქმე აგრეა, ჰა?!.

**იახამ.** ნამდვილად... დიდი გადასადები ავადმყოფობა გქონიათ ტანში, დიდი რჩენა გჭირდებათ.

**2 ავადმყ.** დიდი გადასადები, ჰა?!. აი დასწყევლოს ღმერთმა ჩემი ბედი და იღბალი... კიდევ კაი დროზედ მოვსულვარ.

**იახამ.** მართლაც რო სულზე მოუსწარით.

**2 ავადმყ.** ნწ-ნწ-ნწ, სულზედა ჰა?!. აი თქვენ გადღეგრძელათ ღმერთმა, სწორედ სასწაულივით გამოცნობა კი გცოდნიათ... ძაან ფეხზედ არ შემომხვდა ი ჩვენი ზალიკო და თქვენთან გამომასწავლა, თორემ აკი ხათაბალას გადავეკიდებოდი... იყავით კარგათ (მიდის).

**ბაბ.** (კარებიდან) ვინძლო ეგეც უფულოდ გაუშვა.

**იახამ.** (თამად) მერე ე ფული?.

**2 ავადმყ.** რომელი ფულიო ეგა?! (ღიმილით) კაცს გული ესე გამიხეთქეთ და თქვენ კიდე ფულ მოგართმევთ?!. მე ჩემი ჯავრიც მეყოფა, იქ ქორწილი მეშლება... აი ჩვენი ზალიკოსაიფ რამე სასიამოვნო გეთქვათ ჩემთვისაც, მე ვიცოდი და ჩემმა სინიდისმა, მაგრამ... ეჰ, ყველას ბედი სდომებია... თქვენ მაინც იყაით კარგათ. (გადის).

**იახამ.** (გაბრაზებული) შემიხედეთ ერთი კიდე ამასა!..

**ბაბ.** (გამოდის) რა ქენი, იქნებ თუ კიდე მოგატყუილეს.

**იახამ.** კი არ მომატყუილეს, მე ვერ მოვატყუილე და იმიტომაც მომდის ასე.

**ბაბ.** რა ვიცი, ე მოხერხებულად კი იქცევი და!.. (ზარი) მოიგონე რამე საშუალება... აგერ ბედზედ ამო-

დენა ავადმყოფები თავის დღეში არ გვინახავს და შენ კი ეგრე ადვილად ხელიდან გისხლტებიან. (შემოდის ქიტესო).

**ქიტ.** ექიმი ჯეირანიშვილი გახლავთ.

**იასამ** მოახსენე შემოვიდეს. (ქიტესო გადის) აი პრაქტიკობა ექიმ ჯეირანიშვილმა დაიკვეხოს.

**ბაბ.** ალბათ შნო აქვს და ღმერთიც მაგას შველის. (გადის).

**ჯეირანიშვილი.** (შემოდის) გამარჯობა, ალექსანდრე ლუარსაბიჩ!.. შენ როგორღაც მოწყენილსა გევხარ!..

**იასამ.** ძალიან გამხიარულდი თუ გერჩივნოს, მე რო პრაქტიკა მიდუღს, აბა რა!.. კაცო, ვინც შემოვიდა, ყველას მუქთახორაობაზედ გაუჭყეტია თვალები... შარდი გავსინჯე, იმდენი ვეწვალე, არაფერი მომცეს... გულახდილად ავუხსენი ჯანსაღი ხარო—არაფერს იძლევიან... გეუბნები—ავად ხარ, მაინც კიდე არაფერს იმეტებენ.. მაშ როგორღა მოვიქცე, არ ვიცი ღმერთმანი!.. შენც თუ ეგრე გექცევიან შენი ავადმყოფები.

**ჯეირან.** რას ამბობ, კაცო, თუ მანდამდის მივიყვანე საქმე და იმათ ნებაზედ ვიარე, კი არას ინაღვლიან... მე რაღა ვარო, ალბათ რო მეც უარეს მიზამენ.

**იასამ.** მაშ როგორ**რა**ო აპა?

**ჯეირან.** ფული წინდაწინ უნდა გამოართვა ავადმყოფს და მერე სადღა გაგექცევა.

**იასამ.** როგორ წინდაწინ?

**ჯეირ.** სწოოედ ეგრე... სანამდისინ ავადმყოფს გასინჯამდე, შენ შენი მოითხოვე.

**იასამ.** მერე მართლა რო საღი იყვეს, ფული რაღაში გამოვართვა?

**ჯეირ.** ეგ სულ ერთია... ადამიანი შემოვა თუ არა, ვინც გინდა იყვეს, ზედაც ნუ შეხედამ, მიიბრუნე სახე, ვითომ რამეს ჰფიქრობ და სწორედ ორად-ორი სიტყვა სთქვი: „ფული სტოლზედ".

**იასამ.** სალამის მაგივრად, ჰა?

**ჯეირან.** სწორედ სალამის მაგივრად—ფული სტოლზედ... ბიჭი იქნება და ნუ დასდებს სტოლზედ ფულებს.

**იასამ.** მერე და, რა იცის იმან რამდენი უნდა მომცეს, მაინც ხომ ვაჭრობა დამჭირდება, ეგ ხომ ისევ უხერხულად გამოვა.

**ჯეირ.** აქ არც ვაჭრობაა საჭირო, ყველაფერი მიხედვით არის, შენ წინდაწინ სტოლზედ ფული უნდა გედოს.

**იასამ.** ე თუ არას მოგცემენ, სტოლზედ რაღა ჯანდაბიდან უნდა გედოს.

**ჯეირან.** დამაცა დე, კაცო, ვგონებ არც ისე იქნება საქმე, მე სანიმუშოდ ვამბობ... დიაღ, დასდებ იმდენს რამდენის გადახდაც გსურს შენის ავადმყოფისთვის.., ისიც დახედამს შენს ფულს და გაიფიქრებს, ალბათ ამას ამაზედ ნაკლებს ვერც მე შევბედამო და იძულებული შეიქნება სხვისი მიხედვით იმანაც ერთი იმოტენა გაიმეტოს... მერე რამდენიც გსურდეს სინჯე და რაც გნებამდეს ის უთხარი. აბა იმას რაღა ხმის ამოღება შეეძლება, როცა ფულები ჯიბეში მოგექცევა.

**იასამ.** მართლა ეგ კაი მასწავლე... ისე რომ ხუთიანი რო დავსდო, ისიც ხუთიანს დამიდებს, ჰა?

**ჯეირან.** უნდა ვიფიქროთ... მეტადრე შენისთანა განთქმულ ექიმს...

**იასამ.** ჰმ, ზოგი ახლა მაყურონ რა ლული დავაყენო.

**ჯეირან.** მაშ შენ როგორ გეგონა... ვაიმე, ვაიმე, იყოს ავადმყოფი, თორე, როცა ის მე ხელიდან გამიცურდეს...

**იასამ.** მგონი აღარც მე გამექცონ... ეყოფათ ამდენი დაბ იყვება.

**ჯეირან.** ეგრე, ეგრე, თუ თვალებს არ გავახელთ და სხვის ჯიბეს არ ამოვფხიკამთ, მშივრები დავიხოცებით... კი არა და, ამაღამ ამხანაგები ვიკრიფებით რესტორანში სავახშმოთ და იმედია არც შენ დაიზარებ მოსვლას.

**იასამ.** ვნახოთ, თუ დავახერხე, უსათუოთ მოვალ, ხომ იცი ჩემი ხასიათი ამხანაგებთან ჩამორჩენა არ მიყვარს.

**ჯეირან.** მაშ ცხრა საათისათვის ჩემთან მოგელოდები და იქიდანაც ერთად წავალთ. (გადის).

**იასამ.** აი უდარდელი კაცი... რა უჭირს რა... სამსახური კარგი უჭირამს, სახლში ავადმყოფებიც არ აკლია.

**ბაბ.** (გამოდის) საქმე ექნებოდა ექიმ ჯეირანიშვილს?

**იასამ.** საქმე ჰქონდა და თანაც კაი რჩევა-დარიგება მომცა... რა სიტყვის პასუხია და ის ხუთმანეთიანი ჯერ ხომ არ დაგიხარჯნია?

**ბაბ.** ასე უცბათ სად რას დავხარჯამდი... ან რაშმეყოფოდა, ეუცდი ავადმყოფებს, თუ ვიშოვნეთ რამე, ერთად ვიყიდი ყველაფერს: ხომ იცი, პასკებს გარდა ბევრიც სხვა რამ გვჭირდება.

**იასამ.** მოიტა ერთი ეგ ხუთიანი ისევ უკან მომეცი აქა...

**ბაბ.** რას ამბობ, ადამიანო?!.

**იასამ.** არა, დროებით, თუ გსურს, რო ხუთიანს კიდე სხვა ხუთიანი მოვაგებინო. (ხარი) აგერ... მოიტა, თუ ხათრი გაქვს...

**ბაბ.** საჩქაროდ (აძლევს ფულს) ვერა გამიგია რა!..

**იასამ.** მალე გაიგებ... აბა... (ბაბულა გადის. იასამანიძე ფულს საჩქაროდ მაგიდაზე სდებს, დადის აქეთ-იქით. შემოდის ფერაძე. იასამანიძე ვითომ ვერ ამჩნევს).

**ფერაძე.** (დგება) ბატონო, ექიმო...

**იასამ.** (ვითომ არ ეყურება. ბუტბუტებს თავისთვის). ფული სტოლზედ... ფული სტოლზედ...

**ფერ.** (გაკვირვებული იღებს ფულს მაგიდიდან და დგება). გმადლობთ, ჩემო ექიმო, ამჟამად თუ მეტის მოცემა არ შეგიძლიანთ... ესეც კმარა... მხოლოდ ვენზედ...

**იასამ.** (მიხედავს უცბათ) რას შვრებით, კაცო?!.

**ფერ.** რას ვიზამთ, ჩემო ექიმო, მხოლოდ თქვენზედ ოცდა ხუთი მანეთი დარჩება კიდე... ამაზედაც არ შეგაწუხებდით, ჩემი ცოლი რო პასკების გამოცხობას არ ეპირებოდეს... მშვიდობით. (გადის).

**იასამ.** (გაბრაზებული გააყოლებს თვალს) შეხეთ ერთი, ამანაკ სად დამიგო მახე!.. თუ შენთვის არის საჭირო პასკები...

**ბაბ.** (შემოდის) რა იყო საშა, შევამჩნიე სახლის პატრონი იყო, მგონი პასკების შესახებ ელაპარაკებოდი.

**იასამ.** (დარცხვენილივით) ჰო, პასკების შესახებ მელაპარაკებოდა, ვითომ ერთად გამოვაცხოთო.., მეც ვარჩიე შენს შეწუხებას, ისევ იმათ გამოგვიცხონ და ფული კიდევაც მივეცი.

**ბაბ.** ძალიან კარგად გიქნია.

**იასამ.** იმედია ეგენი მაინც არ მოგვატყუილებენ.

**ბაბ.** აბა რა საკადრისია მოტყუილება... კაი ხალხია, აი, უყურე თუ უფრო მეტს არ მოგვიტანებენ.

**იასამ.** (დაბალის ხმით) ველოდოთ...

ფ ა რ დ ა

# აკაკის პანაშვიდი სამარესთან

კვირას, აპრილის 12 მთაწმინდაზე ჩვენი სულმნათი მგოსნის აკაკის სამარესთან ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს თაოსნობით, გადახდილ იქნა 10 წ. თავის სამოქალაქო პანაშვიდი. თუმცა მეტად ცივი ქარი უბერავდა, პანაშვიდმა მაინც დიდძალი საზოგადოება (განსაკუთრებით ახალგაზრდობა) მოიზიდა: დიდი და პატარა, ქალი და კაცი ყვავილებით ხელში 12 საათზე მთაწმინდისკენ მიეშურებოდა.

კარგა ხანია მამადავითის მთას ესეოდენი ხალხი არ უნახავს. მაყურებელს საუცხოვო სანახაობას უშლიდა ზღვა ხალხით შეფენილი მისი გზა-ხვეული. თვით მოაჯირით შემოფარგლული მოედანი ძლივს იტევდა დამსწრეთ. ხალხის ერთი ნაწილი მთაწმინდის კლდე-ბორცვებს მოსდებოდა და მაღლიდგან სულგანაბული დაჰყურებდა ძვირფასს სამარეს.

„თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქცია სრულის შემადგენლობით ვარდ-ყვავილებით გაემგზავრა სამარისაკენ. ორ ქალს მიჰქონდა რედაქციის დაფნის გვირგვინი, შიგ გაკეთებული ყვავილების ქნარი რტოვან კალმით, წარწერით: „მზიურ აკაკის „თეატრი და ცხოვრება“.

ქალაქის მე-4 შრომის სკოლის მოწაფეებს თავის ხელმძღვანელებითურ დილითვე შეემკოთ ძვირფასი სამარე დიდი სურათით (ყვავილთა ქნარში), ყვავილებით გაელამაზებინათ და სამარეზე იებით დაეწერათ „აკაკი“, დაწესებულებების და ახალგაზრდა ორგანიზაციების წარმომადგენლებს თავი მოეყარათ სამარის გარშემო. კიწი გეგეჭკორის, ზაქარია ხატიაშვილის და ა. მაისურაძის გუნდებს ადგილი დაეკავებინათ. არ სჩანად მხოლოდ დების თარხნიშვილების გუნდი.

ყველა მოწიწებით და იდუმალობით ღლვსილი უახლოვდებოდა სამარეს ყვავილების თაიგულებით.

შუადღის სრულს 1-ლ საათზე დაიწყო პანაშვიდი იოსებ იმედაშვილის მქუხარე და მგრძნობიარე სიტყვით, რომელიც დამსწრეთ დანაშაულის გამოსყიდვისკენ მოუწოდებდა.

იოსებ იმედაშვილის სიტყვის დამთავრებისათანავე ხალხმა მუხლი მოიყარა, ხოლო მე-4 შრომის სკოლის გუნდმა ზ. ხატიაშვილის ლოტბარობით შეასრულა საგალობელი.

მას მოჰყვა მთელი რიგი სიტყვებისა*) და გუნდების —მიერ რიგით შესრულება კომპოზიტრ ნ. სულხანაშვილის ჰიმნის, მისივე კომპოზიციის აკაკის „ჩონგურო“-სი და მგოსნისავე სხვა გულსაფხან ლექსთა კონიდან, აგრეთვე კიწი გეგეჭკორის და მაისურაძის კომპოზიციის.

*) სიტყვები წარმოსთქვეს საქარ. სახელმწ. უნივერსიტ. სოციალ-ეკონომ. ფაკულტეტის სტუდენტთა წარმომადგენელმა, ნინა ჩიხლაძემ, სომეხ მწერალთა ერთი ჯგუფის სახელით—ანტონ აუშტროვმა, სტუდენტთა ერთი ჯგუფის წარმომადგენელმა—ვლ. გაბეხაძემ, აკაკის სკოლის მოწაფემ იური ვაჩნაძემ (8 წ. საკუთარი ლექსი), მე-9 შრომის სკოლის მოწაფეთა სახელით ქალმა ჯეირანმა (საკუთარი ლექსი) და გიორგაძემ (სიტყვა), აკაკის ნამსახურმა ვ. კირვალიძემ, დასავლეთ საქართველოს ძუკუ ლოლუას ხალხურ გუნდის და საქართველოს სახელმ. უნივერ. სახელით სტუდენტმა გრ. გაწერელიამ, ნეს. მაჭარაშვილმა. ავ. ძიძიგურმა ყველას შემდეგ მოვათავსებთ. რედ.

თვითვეულ სიმღერა-საგალობელში ჩაქსოვილი გრძნობა-სილამაზე აბზუებულ ქარის მოძახილით წუთით გვაიწყებდა, რო ათმა წელმა უკვე ჩამორეკა ზარი, რაც აკაკი ჩვენთვის უხილავი შეიქმნა. გვეგონა თითქოს აგერ ახლა აბარებ მთაწმინდის კალთას მის ძვირფასს ნეშტს.

ორატორთა სია იმდენად ვრცელი აღმოჩნდა, რომ პანაშვიდი საღამომდის გასტანდა, თუ ყველა მსურველი გულს მოიფხანდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ახალგაზდობა (და პანაშვიდის ხელმძღვ ნელიც უმთავრესად ნორჩ თაობას აძლევდა უპირატესობას). ეს აკაკის გულის შემპყრობი, მისი დაადი მომავლის იმედი, რომელიც მის სამარესთან ფიცს-აღთქმას სდებდა, რომ იგი გაამართლებს მგოსნის იმედს, განახორციელებს მის მცნება-ანდერძს და დღეს განახლებულ საქართველოს ძლევამოსილს გვირგვინს დაადგამს.

პანაშვიდი 3 ს. დასრულდა. პანაშვიდის დასრულებისას დამსწრეებმა მთა-ბორცვებიდან იების კონები გადმოაბნიეს მგოსნის სამარეს, ხოლო ეზოში მდგომი და ქვეით მოსული ხალხი და მოწაფეობა წყება-წყება მოდიოდა მგოსნის სამარესთან, ია-ყვავილთ აფენდა, მუხლმოყრით თაყვანს სცემდა და იდუმლივ გაივლიდა. სურათი იყო დიდებული.

მასწავლებელმა ვარლამ ძიძიგურმა დამსწრე საზოგადოების სახელით გულწრფელი მადლობა გამოუცხადა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას და მის ჭალარა რედაქტორს იოსებ იმედაშვილს ამ დიდ საქმეში ინიციატივის გამოჩენისათვის. მანვე აღნიშნა, რომ ქართველი ხალხისთვის იმდენად საყვარელია მგოსანი აკაკი, რომ მთელი ახალგაზრდობა, მოწაფეობა, მასწავლებლობა, მუშები, გლეხები, ქალი და კაცი არ დაიშურებენ თავიანთ წვლილს აკაკის ძეგლისათვის. ოღონდ საჭირო იყო ინიციატივა, საჭიროა შტაბი და თუ დღემდე „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია მარტო თავის სახელით მოქმედებდა (რისთვინაც დიდი მადლობის ღირსია), ამიერიდან დამსწრე საზოგადოების დავალებით მეტი ძალა იგრძნოს და „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციამ სათანადო ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლებით შეავსოს რედაქციის კომიტეტი მადლიანი ადამიანისათვის შესაფერისი ძეგლის დასადგმელად.

წესიერება, რომელსაც უხუცესი მოღვაწენი იცავდნენ, სამაგალითო იყო. ამ დღემ თავის შინაარსით დამსწრე საზოგადოებაზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ იგი ხალხის აზროვნებას გადმოახალისებს, აგრძნობინებს დანაშაულის გამოსყიდვის აუცილებლობას.

კმარა სირცხვილი. მოვიხადოთ ყველამ ვალი. აუგოთ შესაფერი ძეგლი აკაკის იქ, სადაც ამ მხრივ უზრუნველყოფილია კიდევ ჩვენი ხალხის ორი დიდი პიროვნების—ილიასი და დიმიტრის—სამარე.

ა. ც.

იოსებ იმედაშვილი

# აკაკის სამარესთან

მთაწმინდაზე 1925 წ. 12 აპრილს, კვირას, ბზობადღეს მგოსნის გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების აღსანიშნავად გამართულ სამოქალაქო პანაშვიდის დროს წარმოთქმული სიტყვა.

## აკაკისადმი.

მზევ ჩაუსვენებელო!.. ჩვენო სულო და გულო, აკაკი!

ათი წელი ჩამოიფურცლა, რაც პირისპირ აღარ გვათბობს შენი სუნთქვა, არ გვატკბობს შენთა მღიმარე ბაგეთა მეტყველება! ათი წელია, რაც შენი მარად სიცოცხლის მფრქვევი, მოკისკასე სახე არ დაგვითინათინებს!

ძვირფასო ჩემო! ხუთმეტი წლის წინად გაზაფხულის მცხუნვარე მზესავით შემოანათე „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქციაში, ხოლო ათი წლის უკან შემოდგომის დამცხრალი მთვარესავით ჩაესვენე, რითაც ერთი უძლიერესი საყრდნობი გამოეცალა შენს საყვარელ ჟურნალს.

მაგრამ ამაგი შენი საერთოდ ჩვენის ქვეყნისა და, კერძოდ, ჩვენი ჟურნალის წინაშე ეგდენ ძლიერია, რომ დღესაც წინ გვიძღვის ცისარტყელად და მომავალშიაც ცხოვრების ბნელ გზას შარავანდედით გაგვიშუქებს!..

ამიტომაც ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქცია შენის წმიდა სამარის წინაშე მუხლთ იდრეკს და კიდევ ერთხელ აღთქმას სდებს არ უღალატოს იმ დიად მცნებათ, რომელნიც შენ გვიანდერძე სამშობლოისა, მშრომელი ხალხისა და კაცობრიობის სასიკეთოდ!..

ჩვენო სასოებავ! სულგრძელობით მოგვიტევე, თუ თავის დროზე შესაფერისად ვერ მოვხედეთ შენს წმიდა სამარეს,—გულმავიწყობაში ნუ ჩამოგვერთმევა...—ვისთვისაც ჩანგს აჟღერებდი და ვინც გიმენდა—დღესაც შენთან არიან. ნეტავ შეგეძლოს თვალი გადაავლო ამ შენი სავანის მიდამოებს, ამ მთის კალთებს, ზედ რომ ზღვა ხალხი შეფენილა, უთვალავი მოზარდი თაობა შემოკრებილა შენი სამარის ირგვლივ,—უნუგეშობა აღარ გვმართებს: შენნი მუდამ შენთან არიან, შენთან იქნებიან და აღარ მიგატოვებენ...

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
დაგყურებს ცისკრის ვარსკვლავსა“.

## აკაკის ნეშტი და პანთეონი

პატივცემულო მოქალაქენო და ძვირფასო ამხანაგებო! უეჭველია, ჩემთან ერთად თქვენც განიცდით ამ დღის დიადობას, რომ ასე სასოებით შემოკრებილხართ.

მაგრამ ერთი მიბრძანეთ, როდემდის უნდა ვიყვნეთ თვალსეირის ხალხი? როდემდის უნდა ვიქმნეთ სიტყვით ბუქნარა—საქმით უქნარა? ჰხედავთ იმ ადგილს, სადაც აკაკის ნეშტი განისვენებს, რასა ჰგავს?!

„ვაი, სირცხვილო, სადღა არის შენი სიწითლე?“

არა თუ ჩვენში, დედამიწის ზურგზე სხვაგანაც-კი არ მეგულება ისეთი უბირი ადამიანი, თავისი მახლობელის, მამის, დედის, ძმის თუ სხვა ნათესავის სამარე ასე მიივიწყოს, ერთხელ მაინც არ მოიგონოს, ერთი ხე არ დაურგას, ქვა არ დაადოს.

და ამ ჩვენი ერის მამის, ჭეშმარიტ აღმზრდელის, დიდ მოჭირნახულის, პოეზიის წმიდა ქურუმის სამარეს რა დღეში ვამყოფებთ?!

იქნება ზოგნი გულს იმითი იმშვიდებთ, რომ აცა დაიცა აკაკის ნეშტი აქ ვერ იდგომილებს—პანთეონში გადავიტანთო?

სად, რომელ პანთეონში?—დიდუბეში?!—იქ პანთეონი აღარაა. ნიკოლოზის გალავანში?—არც იქ... მთაწმინდამ რაღა დააშავა? იმ მთაწმინდამ, სადაც აკაკის გვერდით განისვენებენ საქართველოს ბუმბერაზივე შვილები: დიდი ილია, მეცხრამეტე საუკუნის ქართველურობის შემქმნელი, მეოცის მესარძიკვლე, და დიმიტრი ყიფიანი, ეს მეორე დიმიტრი თავდადებული, აგრეთვე რუსეთის პოეტ-დრამატურგი ალ. გრიბოედოვი და სხ.?!

მაგრამ ისეთი სასწაულიც რო მოხდეს და აკაკი, ვსთქვათ, „ჰაერის პანთეონში“ გადავასვენეთ, ნუ თუ იმ ადგილს დავივიწყებთ, სადაც მთელი ათი წელიწადი ამ დიდი კაცის ნეშტი ასვენია? მე მწამს—სამუდამოდ თუ არა, კიდევ კარგა ხანს დარჩება აქ აკაკის ნეშტი... ნეშტიც რო გადიტანონ, სამარეზე ნიში მაინც უნდა აიგოს.

## აკაკი მსოფლიო პოეტია

იქნებ სხვა მოსაზრებაა, რომ ასე მივივიწყეთ?—მე ვგრძნობ ზოგიერთ კვიმატების ღიმილს, თვით კაციჭამიების გესლიან გამოხედვას: „აკაკი ნაციონალისტი იყო, შოვინისტიო“!

ამას არა თუ თქმას, გაფიქრებასაც-კი მხოლოდ უვიცი გაბედავს.

აკაკი ნაციონალისტი, მით უმეტეს შოვინისტი არასოდეს არ ყოფილა: ფუტკარივით სამშობლო კერის მტრებს ჰნესტრავდა, ხოლო საერთო სიყვარულს, ხალხთა ერთობას თაფლსა და სანთელს უმზადებდა... იგი იყო არა ნაციონალისტური, არამედ დიდი ნაციონალური—ეროვნული მგოსანი!

და განა ეს ეძრახება ვისმეს?

აკაკი იყო დიდი მამულიშვილი, სამშობლოს მოყვარული, მაგრამ განა ამავე დროს იგი მთელ მსოფლიოს დიდ კაცთა პანთეონში ამაყად, შუბლგახსნით, მღიმარედ, არ შევა, როგორც ერთი პირველთაგანი კაცობრიობის წინაშე ვალმოხდილი გმირი, მსოფლიო მოციქული?!

რას ნიშნავს მისი მცნება:

„ჩემი ხატია სამშობლო—სახატე მთელი ქვეყანა“?!

განა ერთა თუ სახელმწიფოთა ურთიერთობა ამაზე ძლიერ, ამაზე სწორად გამოსთქვა ვინმემ?

განა კარლ მარქსმა ეს მცნება უარჰყო?

განა ლენინი—ეს მეოცე საუკუნის კომუნისტური რევოლიუციის შემქმნელი—ამასვე არ იმეორებს? ვინ გაბედავს სთქვას, რომ გარეშე ეროვნულ თვითგანვითარებისა, სამშობლო ქვეყნის სიყვარულისა შესაძლოა მშრომელი ხალხის წინსვლა და მსოფლიოს ბედნიერება?

ის, ვისაც სამშობლო არ უყვარს, ის ვინც თავის ქვეყანას ვერ შეიგნებს, ვერ შეიყვარებს—ის სხვებისათვისაც უსარგებლოა, ულირსი!..

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ერთ მთავარ მცნებად, თვისი ბელადის ლენინის ბაგით, ხომ ერთა თავისუფლებაც ჩამოაქანდაკა!

და ეს იმიტომ, რომ ისეთი მახინჯი, ვინც თავის სამშობლოს უარჰყოფს, მსოფლიო სამშობლოში—ინტერნაციონალში ცხვირსაც ვერ შეჰყოფს.

### ვინ არის აკაკი?

ჩვენდა სავალალოდ, აკაკი ჯერ შესწავლილი არ არის. მოვა დრო, მომავალი თაობა უკეთ შეიგნებს აკაკის და მაშინ იგი არა თუ ჩვენში—მთელ მსოფლიოშიც კაშკაშა მზეებრ ალმობრწყინდება!.

აკაკის დიადობა იმდენად წარსულს არ ეკუთვნის, რავდენადაც მომავალს.

მხოლოდ ტვინ-დამბლადაცემულნი თუ აუვლიან გვერდს ან ისინი, რომელთათვისაც პოეზია და ჭეშმარიტება ხურმის ერთ კურკადაც არ ღირს და მშვენიერება, სიყვარული და მიქალაქეობა ტვინის ღიტინად მიუჩნევიათ.

უკანასკნელი მსოფლიო საშინელი ქარტეხილის ჟამსაც კი, როცა ომმა და რევოლიუციამ ძველი ღირებულებანი გაასცამტვერა,—აკაკი უფრო გაკაჟდა, ამაღლდა. მისი წინასწარმეტყველება დამტკიცდა

მოკლედ: აკაკი ჩვენი წმიდათაწმიდაა, სამშობლო მწერლობის ჯავარი, პოეზიის გვირგვინი, მსოფლიო მოქალაქეობის ნიმუში, მშრომელთა განთავისუფლების მომღერალი, ნორჩი თაობის აღმზრდელი, უკეთესი მერმისის და წინსვლის რწმენის სიმბოლო. მან ყველა ქართველის გულში სიცოცხლითვე აიგო ხელთუქმნელი ძეგლი, ჩაბალახ-ახდილ ერის და ხალხის უგვირგვინო მეფედ შეიქნა, სასოწარკვეთილების ჟამს მისი ნუგეშის მცემელი, თვითარსებობის კვერთხი, და მშრომელი ერი მოვალეა ძეგლი აუგოს.

მოქალაქენო, სააღდგომო მილოცვების დროს არ დაივიწყოთ ჩვენი დიდი მოძღვრისა და წინასწარმეტყველის, აკაკის მწირი, ობოლი სამარე: იგი ნიაღვრისაგან წაილეკება და ღორღით წაინაშება, თუ დროით არ დავიცავით კედლით.

წარმოვიდგინოთ ვითომ აკაკი სააღდგომოთ სახლში გეწვიათ— საამისო ხარჯის ნაათალი გადასდეთ! თქვენი სააღდგომო ხარჯებიდან ერთი მეასედი, თვითვეულ თქვენ ბავშს თითო კვერცხი შეაწირვინეთ და ამ დიდ საქმეს უეჭველად გავაკეთებთ.

ისმინეთ ჩემი: აკაკის სამარე დაკარგვისაგან უნდა დავიცათ,—სამარეზე შესაფერი ძეგლი აღვმართოთ!

ვინც აკაკის ძეგლის ასაგებად თავის წვლილს არ გაიღებს—უფლება არა აქვს ქართველ მოქალაქედ იწოდებოდეს.

ის ერი, რომელიც თავის ნაამაგდარ წინაპართ არ აფასებს—ღირსი არ არის უკეთესი მომავალისა!

და ნურც ელის!

ის თაობა, ქვეყნის მოჭირნახულეთა ის ნაწილი, რომელიც ცოცხლათვე იღებს სიცოცხლეზე ხელს, ცოცხალთა შორის ვერ ჩაირიცხება!..

ასე რამ დაგვაძაბუნა, რამ მოგვტეხა,—უუნარობა, გულგატეხილობა ხომ სულით ჯაბანთა წესია.

საქართველო ფენიქსისებრ დაიწვის ცეცხლში და განახლებული ამოკრიალდება!

მოდის ახალი საქართველო, აკაკის ნამდვილი საქარველო: ეს არის მშრომელთა საქართველო, თავისი ვინაობის მტკიცედ დამცველი და საერთაშორისო ძმობაერთობის მქადაგებელი!

ამის ნიშნები უკვე სჩანს და ვინც ამას ვერა ჰხედავს – ცოცხლითვე დასატირია!

ჩვენ ამათგან არ ველით აკაკის ღირსეულ შეფასებას, რაკვგან იგინი აკაკიმ თვის სიცოცხლეშივე დაიტირა—არამედ თვითმომქმედ, მარად სიცოცხლისთვის მებრძოლი მშრომელი ხალხისგან.

აი, ვინ უნდა ააგოს აკაკის ძეგლი!..

ეს ძეგლი აქამდისაც უნდა დადგმულიყო აქ, სამარეზე, მაგრამ თითქოს აკაკის ბედი არა სწყალობდა:—ასე მგონია, აკაკი აქ რომ არ დაკრძალულიყო, იქნება ეს კედელი მაშინ უფრო გაევლოთ და კლდის რღვევა მაინც შეეჩერებინათ:

ხოლო თუ ჩვენ წარმავალი თაობა, ჰაღაროსანი ხალხი, დღიურ ზრუნვაში ჩაფლული ამ დიდი საქმისთვის ვერ მოვიცლით (და უნდა მოვიცალოთ კი!) მაშინ, თქვენ მაინც ნუ დაივიწყებთ ამ დიად საქმეს, თქვენ—ახალგაზრდებო. აკაკის სულის ყვავილებო, ბავშვებო, პატარა გოგონებო და ბიჭუნებო, ჩვენი მომავლის ნუგეშნო, ია-vardebით რომ შეჰფენიხართ ამ ფერდოებს, ყოველდღე იზრუნეთ აკაკის ძეგლის აგებისათვის!

ქალებო,—თქვენ მუდამ უყვარდით სულმგნათ აკაკის, როგორც ფუძენი ერისა და მომავალი თაობის აღმზრდელი!—თავი გამოიდეთ და აკაკის ძეგლიც აიგება!

დღეს ეს ძნელი არ არის, იმიტომ, რომ მშრომელი ხალხის ხელისუფლება, ხელისუფლება მუშებისა და გლეხებისა, რომელთა გათვითცნობიერებასა და გაღვიძებას მთელი სიცოცხლე შემღეროდა აკაკი, დღეს ძვირფასი მგოსნის წინაშე ვალმოუხდელი არ დარჩება, განსაკუთრებით ჩვენი დედაქალაქი, რომლის სათავეში სდგას გლეხის შვილი, მუშა, მდაბიო წრიდან გამოსული, თვითგანვითარებული, აკაკის ნაწერებზე აღზრდილი დიდი მოქალაქე.. (ხმა: სუხიშვილი?) დიაღ, მართალია, ლადო სუხიშვილზე მოგახსენებთ!

ქალნო და კაცნო, ჭაბუკნო და ბავშნო, მუშა-გლეხნო, მოხელენო და მოწაფენო, თქვენის სახით მოვუხმობ მთელ საქართველოს და იმედი მაქვს ხმა ჩემი არ დარჩება ხმად მღაღადებელისად უდაბნოსა შინა. არ დარჩება არც ერთი ადამიანი, რომ არ გამოგვეხმაუროს! ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელოვნო, სამრეწველო, საბანკო და სხვა დაწესებულებებმაც...

აქ—აკაკის სამარეზე ნამდვილი ბაღნარი უნდა გაიმართოს: კლდის რღვევა კედლით გამაგრდეს, ძეგლი დაიდგას!

და ეს ძეგლი დაიდგმება კიდეც!...

დასასრულ, მართალია, თითოეული თქვენთაგ ნისათვის ძვირფასია აკაკი, მაგრამ ვინაიდან თქვენ ჩვენის რედაქციის მოწოდებისამებრ ამობრძანდით ამ სასტიკ ქარში,—და ჩვენი სასიქადულო თანამშრომლის ხსოვნას ჩვენს მოწოდებაზე ღირსეული პატივი ეცით,—ამიტომ უგულითადეს მადლობას მოგახსენებთ...

ამასთან ერთსაც გთხოვთ: ამ თვალსეირით არ დავკმაყოფილდეთ, არამედ ნივთიერი წვლილიც გამოვიღოთ ძეგლის აგებისათვის!

ახლა მაინც გამოვისყიდოთ ჩვენი დანაშაული სულმნათი მგოსნის წინაშე... ხუთმეტი წლის წინად ტფ. გუბ. თავადაზნაურობამ თუ შესძლო და ილიას ძეგლი დაუდგა. დღეს მთელი ქართველი მშრ. ერი უფრო შეიძლებს ამას.

საუკუნო ხსენება აკაკი დიდს, გამარჯვება მის მშობელ ერსა, ვაშა მის მცნებათა აღმსრულებელს!.

# აკაკის საღამო

(შთაბეჭდილებანი)

ორი თვის ლოდინის შემდეგ, 6 აპრილს, ორშაბათს, როგორც იქნა, ვეღირსეთ დიდი მგოსნის, ხალხის სულის მესაიდუმლის და წინასწარმეტყველის აკაკის საღამოს...

„მცირე თეატრის“ დარბაზი ხალხით გაჭედილია ბევრი ფეხზე სდგას.

9 საათზე ფარდა აიხადა. საღამოს ხელმძღვანელმა იოსებ იმედაშვილმა დამსწრე საზოგადოებას, აკაკის პატივის მცემელთ მოახსენა, ბოდიშისებურათ, რომ ასეთი დიდი მგოსნის საღამო, მცირე თეატრის პატარა დარბაზში იმართებაო და დასძინა, აკაკი ხომ სიცოცხლეშიაც უბრალოების, სისადავის მოყვარული იყო და ახლაც ეს ბედი ხვდაო... მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ: **აკაკი** სასახლესა ბ ქოხშიაც **აკაკად** დარჩებაო. შემდეგ მოუხმო საზოგადოებას ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მგოსნის ხსოვნისათვის.

საზოგადოება, როგორც ერთი კაცი, ფეხზე წამოდგა. ამ დროს სცენის სიღრმიდან მოისმა მუსიკის სამგლოვიარო ჰანგები, რაიც საზოგადოებამ ფეხზე დგომით მოისმინა... ამის შემდეგ იოსებ იმედაშვილმა განაცხადა— ჩვენი დიდის მგოსნის ხსოვნის პატივსაცემათ პირველი სიტყვა ახალგაზრდას დაუთმეთ, ისიც ქალსაო... და სიტყვა მიაკუთნა ახალგაზრდა მოსწავლე ქალს ელენე მამაცაშვილს.

სცენაზე წამოდგა პატარა ქალი, სტუმრები სმენად გადაიქცნენ. ახალგაზრდა ლექტორი დიდად ღირსეული, მჭერმეტყველი გამოდგა მგოსნის შემოქმედების შეფასებაში, რისთვისაც საზოგადოებამ ხანგრძლივი და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა...*)

შემდეგ ექ. ივ. ელიაშვილმა დამსწრეთ გაუზიარა მოგონებანი აკაკის შესახებ. აკაკის პოემა „თორნიკე ერისთავი“-დან ნაწყვეტი „ბრძოლის ველი“ წარმოსთქვა ქალმა მარგ. მუჯირმა, „მთაწმინდა“—მარგ. ქილარჯიშვილმა. ამას მოჰყვა „ქართველი ქალი“—აკაკისა, გაინსცენიერებული იოსებ იმედაშვილის მიერ, სადაც ქართველ ქალის როლს ასრულებდა მარ. ქილარჯიშვილი, შიკრიკს—კონსტანცი ერი.

შემდეგი განყოფილება **აკაკი ხალხურ მუსიკაში:** ა) „ნათელას სიმღერა“ (შეასრულეს დანიელა ურიამ და ძმ. კრავეიშვილებმა. საზოგადოების თხოვნით მათ რამდენიმე სხვა სიმღერაც იმღერეს); ბ) „პატარა კახი-“დან— „დაიგვიანეს“ მუსიკა ნ. სულხანიშვილისა (მ. თარხნიშვილმა, გ) „ნახევრი ცხოვრების გზა გავლიე“ სოლო ჭიანურზე—მარო თარხნიშვილმა, ჭიანური—ალ. ოლანეზაშვილმა.

**აკაკი ეროვნულ მუსიკაში:** გოჩას არია (ოპერა „თამარ ცბიერი“-დან, მუსიკა მ. ბალანჩივაძის) შეასრულა გ. ვენაძემ. საზოგადოების თხოვნით ტარანტელა, ოპერა „დაისი“-დან „თავო ჩემო“ (მუს. ზ. ფალიაშვილის)—ნ. ქუმსიაშვილმა საზოგადოების დაჟინებითი მოთხოვნით „ურმული“. როიალთან—მარ. ანდრონიკაშვილი.

საერთოდ ამ განყოფილებამ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა.

**აპოთეოზში.** აკაკი ცოცხალ ყვავილებში. ქართველი ქალი დაფნის გვირგვინით. გარს აკაკის სკოლის მოწაფენი ყვავილებს მიმოაბნევენ დადაფნილ აკაკის და მის გარშემო „მთაწმინდა“-ს მღერიან. ჩინებულია ეფექტი.

შავ ფარდებს უკანიდან, თითქო საფლავიდან, მოისმის ხმა—აკაკის ანდერძი ახალგაზრდობის მიმართ. და ამის შემდეგ სცენაზე გამოჩნდება სახელმწ. აკ. დრამის მსახიობი—გიორგი დავითაშვილი და კითხულობს პირველად ამ შემთხვევისათვის სამელოდეკლამაციოთ გადაკეთებულს აკაკის ლექსს „ავადმყოფს“. როიალთან ნინო ლაფერაშვილი. საზოგადოება მსახიობს მხურვალე ტაშით აჯილდოვებს. კვლავ მოისმის „მთაწმინდა“ ბავშვების სიმღერა და სურათს ფარდა ნელ-ნელა ფარავს. საღამოს ანსამბლი დიდებული იყო, ხალხი ნასიამოვნები დარჩა.

არ დავრჩი კმაყოფილი მხოლოდ მე, თქვენი უმორჩილესი მეგობარი, მკითხველო და აი, რატომ:

ზემოთაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ საღამოს დაესწრო მხოლოდ ხალხი, ხალხის ოჯახის წევრები: დიდი და პატარა, ქალი და კაცი და არ იყვნენ: მწერალთა კავშირიდან, ხელოვნებისა, თეატრისა და სხვადასხვა საკულტურო დაწესებულება-კავშირიდან, მასწავლებლებიდან, ექიმებიდან, პროფესორებიდან, ინჟინერებიდან და სხ.

რით აიხსნება ეს? რით შეიძლება თავის გამართლება? ყოველი მხრივ მივუდექი ამ საკითხს, მაგრამ პასუხი ვერ მივიღე!..

თუ „თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქცია პატარა დაწესებულებაა ან იოსებ იმედაშვილი პატარა კაცია, სად იყვნენ ამდენ ხანს: მწერალთა კავშირი, ხელოვნების ჯგუფი, ქართული თეატრის მესვეურნი და სხვადასხვა საკულტურო და საგანმანათლებლო ორგანოები?

და განა აკაკის საფლავია დავიწყებული? ასეა თითქმის ყველა ქართველი მოღვაწის.

შეიძლება ვინმემ ბრძანოს: რა საჭიროა საფლავების შემკობაო! ამაზე მეც თანახმა გაგიხდებით მაშინ, თუ საზოგადოთ მიღებული იქნება ეს.

დღეს ხომ მთელი შეგნებული ნაწილი კაცობრიობისა წინააღმდეგია სხვისი შრომის მისაკუთრების, უსასყიდლოთ სარგებლობის, ექსპლოატაციის?

და აკაკის გონების ნაწარმოებით, ნაშრომით ვინ არ სარგებლობს დღეს?—მისი შემოქმედების ნაყოფი ვის არ ასაზრდოებს დღეს—მთელს ერს და სხვებსაც: გონებრივად და სულიერად.

აი, რისთვის არ დავრჩი კმაყოფილი!..

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“· ხალხური თქმულებაა.

წარჩინებულნო მოქალაქენო! მიუხედავათ იმისა, რომ აკაკის საფლავის მდებარეობა ორ-სამჯერ მეტს ხარჯს მოითხოვს, ისეთ ადგილას ასაფლავია, ის ახალგაზრდობა და მდაბიო ხალხი, რომელთაც აკაკი მთელს სიცოცხლეში თავს ევლებოდა და მისთვის კვნესოდა, სასახელოდ დააგვირგვინებს დაწყებულ საქმეს, მაგრამ წარჩინებულების გარეშე დგომა, მე მგონია, ვერ იქნება ლამაზი.

**კ. თავართქილაძე.**

*) ელენე მამაცაშვილის სიტყვა ამავე ნომერში იბეჭდება და მკითხველი თვითონ დააფასებს.

## შესაფერი ყურადღება დამსახურებულ მწერალ-მოღვაწეთ!

**სოფრომ მგალობლიშვილი**, მხცოვანი მწერალი, უმთავრესად გლეხურ-ხალხურ მოთხრობების შემქმნელი, ერთი პირველთაგანი მუშაკი ხალხის გაფხიზლებისა, ნაამაგდარი მასწავლებელი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა მშრომელ ხალხს და სამშობლო მწიგნობრობას, მეშვიდე თვეა მძიმე ავადმყოფია ყელის ანთებით, რისთვისაც ესაჭიროება კურორტზე გაგზავნა.

**ტრ. რამიშვილიც**, დამსახურებული დრამატურგი—პირველი სოციალური დრამის შემქმნელი და სახალხო თეატრის ერთი ნაამაგდარი მწერალთაგანი, რომელიც 25 წ. დრამატურგიას ემსახურება და 30 წ. რაც სამკურნალო დარგშია, ერთ თვეზე მეტია ლოგინადაა: პლევრიტის ნიადაგზე ტუბერკულიოზი გაუჩნდა. ავადმყოფისთვის აუცილებლად საჭიროა ხანგრძლივი დასვენება და მკურნალობა აგარაკში (საზაფხულოდ არაზინდო, შემდეგ სოხუმი).

ორივე დამსახურებულ მწერალსა და მოღვაწეს სასწრაფო ყურადღება უნდა მიექცეს. **ი.**

# სათეატრო მიმოხილვა

**სოფ. დიდი-ჯიხაიში** (ქუთ. მაზრა) ერთად-ერთი უდიდესი სოფელია დასავლეთ საქართველოში როგორც მცხოვრებთა უმრავლესობით, ისე ინტელიგენციის რაოდენობით, მაგრამ, საუბედუროთ, აქაურ ინტელიგენციას სძინავს ადგილობრივ თეატრისა და საერთოდ ხელოვნების დარგში, და ეს მაშინ, როდესაც ამ სოფლის ძალები საქართველოს სხვადასხვა ადგილებში არიან გაფანტულნი. საჭიროა ჯიხაიშის ინტელიგენციამ საკუთარ კერის კულტურასაც მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. განსაკუთრებით საჭიროა სახელოვნო დარგში მუშაობა, რათა ჩვენს სოფლელ გლეხობას ჩავუნერგოთ თეატრის სიყვარული და მისი მნიშვნელობა შთავაგონოთ.

**კლ. კოპალეიშვილი.**

**ქ. სამტრედიის** საფეიქრო პროფ-კავშირის პ/მ მდივნის ამხ. ტაბიძის თაოსნობით ცეკავშირის სამტრედიის განყოფილებას ძაფ.-საღებ ქარხანაში დაარსებულია მომღერალთა გუნდი (20 ქალი და 15 კაცი). გუნდს ჰყავს გამგეობა (1. ნ. ხუჭუა, 2. ფოფხაძე, 3. ბ. ხუჭუა, 4. ო. გრიგოლია და 5. ს. შენგელია), ხელმძღვანელობს ამხ. დ. შანიძე. გუნდის გამგეობამ გუნდიდან გამოყო დრამ. წრე: (1. ახობაძე ნინა, 2. ხუჭუა ნინა, 3. გრიგოლია პაშა, 4. სტურუა ქსენია, 5. ხუჭუა ბაბილინე, 6. ანდრიაძე ფედოსი, 7. შენგელია ევგენია, 8. კვანტალიანი ნადია, 9. კვერნაძე ოლია, 10. კოხრეიძე მექი, 11. ბუკუჩავა მიხა, 12. ტორონჯაძე სერგო, 13. შანიძე დომენტი, 14. ბუაძე ლევანი, 15. ფოფხაძე ლეონტი, 16. ხუჭუა ლადიკო, 17. შხვარციბაია ვალ. და 18. სტუროუა ვასო.

საჭიროა ამ წრის განვითარებას ხელი შეუწყოს ყველა ამხანაგმა, ეს იმიტომ, რომ: 1. ეს წრე შემდგარია თვით ამ ზემოაღნიშნულ ქარხნის მუშებისაგან, 2. ცეკავშირის ძაფ-საღებავ ქარხანაში მუშაობს 400-მდე ქალი და კაცი და 3. ეს ქარხანა მოთავსებულია სოფელში, რომელსაც შემოსახლებული ჰყავს 500 კომლი გლეხის ოჯახი, რომელთა შვილებისგან შემდგარია ზემოაღნიშნული მომღერალთა გუნდი და დრამატიული წრე.

წრე დიდი ხალისით ეკიდება საქმეს, მართავს კონცერტებს და სხვადასხვა გასართობ სალამოებს. შემოსავალი წრის გასაძლიერებლად მიდის: ამ ფულიდან შეიძინეს მომღერალთა გუნდისთვის ტანისამოსი (დაუჯდათ 300 მან.).

მათი წარმოდგენებით, ამხ. ბუაძის იუმორულ სცენებით და კონცერტებით ხალხი ძლიერ კმაყოფილია.

იმედია ცეკავშირის სამტრედიის განყოფილების გამგე ამხ. გერმანე ნაფეტვარიძე ხელს შეუწყობს ამ სიმპატიური წრის არსებობას: მოუწყობს სასცენო დარბაზს და სხ. უსურვებთ ამხ. ალ. ტაბიძეს გაასკეცებული ენერგიით საბოლაოდ გამარჯვებამდე მიეყვანოს ეს საქმე.

**ირ. საჭილაველი.**

**მუშათა ცენტრალურ კლუბში** მარტის 29 ტფ. საქონლის სადგურის ქართ. დრამ. წრემ დასდგა ზემოხსენებულ დარგის მოსამსახურე პრ. ჩხიკვაძის რევოლიუციონური პიესა 26-ს ხსოვნას „უდაბნოც სტირის“. მთელი შემოსავალი გადაიდო ს. პატარძეულის სასარგებლოთ. პიესა კარგა დასდგა მსახიობმა ვასო კობელმა. მადლობის ღირსია. კლუბი სალხით სავსე იყო. კარგად ასრულებდენ როლებს ალ. ქვარელი (გიორგის), დ. ლარიანი (რაჟდენი), შ. რამიშვილი (დრუშკინი), კატო ქალიანი (ელენე), ვ. გელაძე (ტიგჯონს) ჩქარობდა. კორძაძე (ჩაიკინი), კეკელიძე (ჩაილდი), არჯევანიძე მოხუცი (ფალდევი), ლორთქიფანიძე დამაკმაყოფილებელი იყვნენ. ს. გურგენიძე (კარის კაცი) კარგი იყო. აღსანიშნავია საშეფო კომისიის ენერგიული მუშაობა, რომელმაც შეფად აილო ს. პატარძეული მარიამ თარხნიშვილის ლოტბარობით შეასრულა ქართკახური სიმღერები, ამავე დარგის მეორე ხორომ ბ. სიხარულიძის და ბერძნიშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა გურული სიმღერები.

**რეონ განდეგილი.**

**ხაშურის** დრამატიული დასი შემდგარია ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთაგან. დასში ირიცხება 27 წევრი, მათში 4 ქალია. რეჟისორ-ხელმძღვანელად მიწვეულია დამსახურებული სცენის მოყვარე მოსე კვალიაშვილი. წარმოდგენები იმართება ყოველ შაბათობით, ხშირად კვირაში ორჯერ, უმთავრესად უფასოდ. თეატრში ადგილი 200-დეა. თეატრის კედელი ამ ზამთარს გასკდა, ლამის ჩამოინგრეს. ამას თუ დროით ყურადღება არ მიექცა, შეიძლება უბედურება მოხდეს. თეატრს აკლია პარიკები, რეკვიზიტი, ბუტაფორია, ტანისამოსი და სხ. ხალხს უყვარს თეატრი. ესაა ერთად-ერთი სასცენო დარბაზი, აქ თავმოყრილია რკინისგზელ მუშათა დიდი უმრავლესობა, რომელიც ხალისით ეწაფება ხელოვნების წყაროს. სათეატრო შენობის გამგენი კი ძლიერ გულცივად ეკიდებიან ამ საქმეს. საჭიროა ყურადღება.

**თვალი.**

მთავლიტ. № 550 ხელმძღვანელი: **კოლეგია.** რედაქტორ-გამომცემელი: **იოსებ იმედაშვილი.** ტირ. 1500

პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3.